სპორტიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 23 ოქტომბერი 2004 №247 (2268) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქმეებმაც ფენებმაც...

დიდი ფეხბურთის უქმეები დაგვიდგა. იტალიაში „მილანი“ „ინტერს“ მასპინძლობს, ესპანეთში „რეალი“ „ვალენსიას“, ხოლო ინგლისში „მანჩესტერი“ და „არსენალი“ შეიბმებიან.

„სან სიროზე“ დღეს უფრო მეტი შავ-წითელი ქომაგი იჯდება, რადგან მასპინძლად „მილანი“ ითვლება და ბილეთებსაც ძირითადად მის არმიას მიყიდდნენ. მილანურ დერბიში მთავარი მეტოქეზე ლამაზად თამაშია, უთქვამს ამასწინათ „მილანის“ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის, თუმცა ვის ვის და, იტალიელებს შედეგის მნიშვნელობა ბარე ორზე კარგად რომ ესმით, ეს ხომ ძველი ამბავია. ამიტომაც ველით დიდ სანახაობას.

„რეალის“ მცველ პავონს კი წამოურაშავს, „სანტიაგო ბერნაბეუ“ ნამდვილად არ გაივსება, რადგან სოფლის გუნდი ჩამოდისო... ვალენსიაში პავონის ამ სიტყვებს შესაბამისი რეაქცია მოჰყვა, თამაშის ნახვა კი თქვენზე იყოს.

ხოლო „არსენალი“ თუ „მანჩესტერთანაც“ არ წააგებს, გამოუვა, რომ უკვე 50 მატჩია, რაც მარცხი არ უწვნევია...

ისე, ვფიქრობთ, „არსენალს“ და „მანჩესტერს“ ერთმანეთის წინააღმდეგ ზედმეტად დაგეშვა არ უნდა სჭირდებოდეთ.

კახა კალაძეს მილანზე ჯვარი არ დაუწერია

ახალი კონტრაქტი რომც შემომთავაზონ, არ განვაახლებ, უგუნდოდ კი ნამდვილად არ დავრჩები — გვითხრა გუშინ კახა კალაძემ, რომელსაც „მილან“ — „ინტერის“ საკვირაო დერბის წინ შევეხმიანეთ. კახას არც ის დაუმალავს, რომ მისი შეძენით არაერთი ძლიერი გუნდია დაინტერესებული. ამ ბოლო ხანს იტალიურ პრესაში ისიც დაიწერა, კალაძეს თვალი „ინტერმა“ და „იუვენტუსმა“ დაადგესო. ამ საქმიდან რა გამოვა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნის მერე თუ გამოჩნდება. მანამდე კი კალაძე მილანელია და 2006 წლამდე ანუ კონტრაქტის გასრულებამდე შავ-წითელი მაისურით აპირებს თამაშს, ოღონდ ერთი კია, მძაფრი კონკურენციის გამო სათადარიგოობას ვერ ეგუება და არც იმას გამორიცხავს, რომ კლუბმა მისი გაყიდვა გადაწყვიტოს.

მოკლედ, გაიყრება თუ არა „მილანისა“ და კალაძის გზები, დროის ამბავია.

ინტერვიუ კახა კალაძესთან იხილეთ მეორე გვერდზე

მერამდენედ?!

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა კარგად დაწყებული და ცუდად გაგრძელებული საქმე ველარ გამოასწორა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩარჩა. ვახტანგ კოპალეიშვილის შეგირდები საბურთალოსხელა მალტასთან უაზრო ბურთაობით დაემშვიდობნენ ტურნირს. მატჩი ფრედ, 1:1 მორჩა, რითაც მასპინძელმა სლოვაკეთმა ისარგებლა, წინა ტურში ჩვენს დამმარცხებელ ლიტვას 3:1 მოუგო და ჯგუფიდანაც სწორედ ეს ორი გუნდი გავიდა...

ახლა იტყვიან, „დინამოს" ჯაბა კანკავა რომ დაეთმო, შოთა გრიგალაშვილს ფეხი რომ არ მოსტეხოდა და ასე შემდეგ, უკეთესი შედეგი გვექნებოდაო, მაგრამ ბევრისთვის სწორედაც რომ უეჭველია: მალტასთან კანკავას და გრიგალაშვილის გარეშეც უნდა მოიგო.

ახლა იტყვიან, ეგრე არ არის, თამაში ყველამ ისწავლა, აგერ, ლიხტენშტაინმაც დააკარგვინა ქულები პორტუგალიასო, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ პორტუგალიას ამით საქმე არ გაფუჭებია, ჩვენ კი...

ახლა იტყვიან, მაინც მაგრები ვართ, ჯგუფის გამარჯვებული სლოვაკეთი ხომ დავამარცხეთო, მაგრამ ერთი ხომ ნაღდია: კინკილა მოგება მაგრობას არ ნიშნავს.

ახლა იტყვიან, ფეხის გადაბრუნების მერე ლაპარაკი იოლიაო, მაგრამ აკი არ ავტეხეთ ვაი-უშველებელი მალტაზე ოდნავ წინმყოფ (ფეხბურთის ამბავში) ლიტვასთან წაგების შემდეგ. მაშინაც ხომ შეიძლებოდა ნაკრების დამუნათება, მაგრამ იმედი გვქონდა...

ახლა იტყვიან, კარგი თაობა მოდის, მაგრამ პირობები არ გვაქვს და ამხანაგურ მატჩებსაც ვერ ვთამაშობთო. ეს კია ასე, მაგრამ ისაც ხომ უნდა თქვას ვინმემ, რომ მწვრთნელად დანიშვნამდე თავად მოსთხოვონ პირობები დამნიშნავს, ან მანამდე მაინც ატეხონ განგაში, სანამ შესარჩევი ტურნირი კარს მოადგება.

ახლა იტყვიან, არა უშავს, შეცდომებზე ვისწავლითო, მაგრამ ვერავინ ითვლის, მერამდენედ უწევს ამის მოსმენა.

გავეგოისტდე თუ არა?

ბრალდების და თამაშის სისწორე

*21 **აგვისტოს** შოთა არველაძემ შოტლანდიურ პრემიერლიგაში „ჰიბერნიანს" გაუტანა გოლი და მას შემდეგ ბურთი აღარ შეუგდია რაგინდარა ტურნირებზე. უგოლობა შოთამ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში შეწყვიტა პოლონურ „ამიკასთან" — თავისივე მონადირებული პენალტი გაიტანა — 21 ავგისტოდან 21 ოქტომბრამდე — არველაძეს ზუსტად ორთვიანი შუალედი გამოუვიდა...*

— ორი უგოლო თვე — რისი ბრალი იყო ეს?

— თავის მართლება შემიძლია, მაგრამ რა აზრი აქვს? ამხელა უგოლო შუალედი არასდროს მქონია.

— ამ სეზონში „რეინჯერსში" თითქმის სულ ნახევარმცველად თამაშობ — ყველაზე უფრო ეს გიშლის ხელს გოლის გატანაში?

— თავდასხმაში „ამიკასთანაც" არ მითამაშია, ცენტრალური ნახევარმცველი ვიყავი.

— იმაზე რას იტყვი, რომ ნაკრების უკრაინასთან მარცხს ბევრი თავდამსხმელებს აბრალებს?

— ეს ზოგადად ნათქვამია, თორემ სინამდვილეში მე ვიგულისხმები — დემეტრაძე და იაშვილი არაფერ შუაში არიან, მათ მიმდინარე ციკლში გოლები გაიტანეს. თუმც ვისაც ვეთამაშეთ, იმ გუნდებს საკმაოდ სახელიანი ფორვარდები ჰყავდათ, მაგრამ რომელი მათგანი გვჯობდა ჩვენ?

— შენზე ამბობენ, ნაკრებში თამაშს საკუთარ თავზე არ იღებს, ასე ვთქვათ, ინდივიდუალურ თამაშს ერიდებაო..

— ეს იმათი ბრალდებაა, ვისაც ფეხბურთი არ ესმის. ასეთ ბრალდებაზე პასუხის გაცემა არ ღირს.

— მაინც როდემდე უნდა ითამაშო „რეინჯერსში" ნახევარმცველად? ალექს მაკლიშთან არ აპირებ ამ თემაზე საუბარს?

— ჯერ ცოტას კიდევ მოვიცდი და ვნახოთ...

— გასაგებია, მაგრამ ნახევარდაცვაში თამაში გოლის გატანის ინსტინქტს არ გიკარგავს?

— თუ ჯანმრთელად ვიქნები, გოლი ნახევარმცველმაც უნდა გავიტანო, ბოლოს და ბოლოს, ცოტათი გავეგოისტდები და შევაგდებ, მაგრამ არასწორი თამაში მეზიზღება — შესაძლოა, ცუდად ვითამაშო, მაგრამ არასწორად არასდროს.

დავით თავართქილაძე

ალა?!

ყალაძეს ანჩელოტის როტაცია არ აყვირვებს. ნურც მილანს გააყვირებს ყალაძის როტაცია

ოთხშაბათს „მილანმა" „ბარსელონას" 1:0 მოუგო. ხვალ კი იტალიის ჩემპიონს ზედიზედ მეორე დიდი მატჩი ელის — მილანური დერბი, იგივე მადონინა.

„მილანი" დაუძინებელი მტრის, „ინტერის" წინააღმდეგ. სამზადისი დიდი, დაძაბულობა არანაკლები. მოკლედ, ქალაქი უკვე შავწითლად და შავლურჯად დაიფერა.

ემზადება საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძეც, ვისზეც იტალიაში ეს დღეებია ლაპარაკობენ, კარლო ანჩელოტი კახას დერბიში უეჭველად ათამაშებსო.

კალაძეს გუშინ მილანში დავურეკეთ და პირველად „ბარსასთან" შეხვედრაზე დავეკითხეთ. ანჩელოტიმ ხომ კახა იმ მატჩის 18-კაციან განაცხადშიც არ შეიყვანა...

— მწვრთნელმა როგორც ჩათვალა მართებულად, ისე გადაწყვიტა. არაფერი მითქვამს, ავდექი და თამაშს ტრიბუნიდან ვუყურე.

— გული დაგწყდებოდა...

— არანაირად. ბიჭებმა დიდებულად ითამაშეს და დამსახურებულადაც მოიგეს. ჩემთვის კი მთავარი ისაა, რომ ჯანმრთელად ვარ.

— ჯანმრთელად რომ ხარ, ეგ, ცხადია, კარგია, მაგრამ უთამაშებლობა?

— მართალია, მუდმივად ძირითადში თამაში მირჩევნია, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ უთამაშებელი ვარ, ანაც ფორმაში არ ვიმყოფები. წინა კვირას „კალიარისთან" ვითამაშე და, მგონი, „ინტერთანაც" დამაყენებენ. ერთი სიტყვით, ანჩელოტის როტაცია გასაკვირი ნაღდად არაა.

— „ინტერთან" რომ აპირებს ანჩელოტი შენს დაყენებას, ამაზე თითქმის ყველა იტალიური გაზეთი წერს. მზად ხარ?

— ჩემზე რაც იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ. ფორმაში კი ნამდვილად ვარ.

— და, ალბათ ბრაზილიელი ადრიანოს გაჩერებაც მოგიწევს...

— არაფერს დავუთმობ. ადრიანო ძალიან მაგარი ფეხბურთელია, ძლიერი ფორვარდია, მაგრამ თუ ვითამაშე, ბოლომდე უნდა ვებრძოლო.

— იმასაც ამბობენ, რომ „მილანი" — „ინტერი" შევჩენკო-ადრიანოს დუელიცაა...

— ალბათ. ასეცაა და ფაქტია, რომ ორივე ბრწყინვალე ფორვარდია, მაგრამ არა მგონია, ასეთ თამაშში მატჩის ბედი მაინც ერთმა ფეხბურთელმა გადაწყვიტოს. რომელი გუნდიც უკეთ ითამაშებს, ის მოიგებს.

— იტალიური ფეხბურთი პრაგმატულია, გუნდების თამაში უფრო ტაქტიკურ სქემებზეა გათვლილი, რაც, გინდა, არ გინდა, სანახაობრივ მხარეს აკნინებს. ახლა, როცა წინ დაძაბული და უმნიშვნელოვანესი დერბია, როგორ თამაშს უნდა ველოდოთ?

— უფრო სანახაობრივს. მოგება, თანაც ერთმანეთის ჯიბრზე, ორივეს ჰაერივით გვჭირდება. „ინტერი" ახლა სულ სხვა გუნდია, ძლიერი, შემტევი, აგრესიული. ჩინებულ ფორმაშიც არიან, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლებნი. მოკლედ, ვისი აჯობებს, ამას კვირას ვნახავთ.

— ბოლო ხანს ბურთს მიიღებ თუ არა, იქვე ერთი-ორი პასი და, ადრინდელისგან განსხვავებით შეტევაში თითქმის აღარ მიდიხარ. რატომ? ეს ანჩელოტის დავალებაა თუ...

— ერთი შეხედვით ეგრე ჩანს, მაგრამ ანჩელოტის არ უთქვამს, წინ არ წახვიდეო. უბრალოდ, როცა კაფუ თამაშობს, ძირითადი აქცენტიც მარჯვენა ფლანგზე კეთდება. კაფუ თავისი ფიზიკური მონაცემების წყალობით შეტევაში ხშირად ერთვება. ამ დროს კი მარცხნიდან თითქმის არ ვუტევთ. აი, „კალიარისთან" კაფუს ნაცვლად კოსტაკურტამ ითამაშა და ახლა უკვე მარცხენა ფლანგი დაიტვირთა, „ბილი" ძირითადად დაცვითი საქმიანობით იყო დაკავებული.

— ერთიც. სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ შესაძლოა ზამთარშივე ტურინის „იუვენტუსში" ან „ინტერში" გადახვიდე. წინასწარი მოლაპარაკებებიც უკვე დაწყებულიაო...

— არაა მართალი, იმიტომ, რომ სერიოზული და კონკრეტული საუბრები არ ყოფილა. დაინტერესება კი ნამდვილად არის და არა მარტო მათი მხრიდან. ერთი ვიცი, ჯერ „მილანის" დატოვებას არ ვაპირებ და თუ მაინც წავედი, უგუნდოდ ნამდვილად არ დავრჩები.

— „მილანთან" კი კონტრაქტი 2006 წლის ივნისამდე გაკავშირებს...

— ჰო, წელიწადნახევარი კიდევ დამრჩა.

— ხელმძღვანელობას ახალი არ შემოუთავაზებია?

— არა და რომც შემომთავაზონ, არ განვაახლებ.

— რატომ?

— უბრალოდ, არ მსურს. დარჩენილი დრო რომ გავა, თავისუფალი აგენტის სტატუსით წავალ გუნდიდან.

— გგონია, „მილანი" ასე გაგიშვებს?

— პრობლემას ვერ ვხედავ. თუ მანამდე გამყიდეს, ეგ სხვა ამბავია. ხოლო კონტრაქტი რომ ამოიწურება, მერე ხომ ხელს ვერ შემიშლიან...

— ბევრი გუნდია დაინტერესებულიო, ამბობ. კონკრეტულად?

— ჯერ არ მინდა დავასახელო, მაგრამ სერიოზული და ძლიერი გუნდები კი არიან.

— ადრე „ბაიერნზე", „ჩელსიზე", „მანჩესტერსა" თუ „ბარსელონაზე" ითქვა. ახლა კიდევ „იუვე" და „ინტერი"...

— ვნახოთ, გამორიცხული არაფერია.

გიორგი ვაშაკიძე

დინამომ შტურმი ვერ გაბედა

გია გეგუჩაძე: სოშოც ნერვებზე იყო

თბილისის „დინამომ“ ითამაშა თავისი პირველი ჯგუფური მატჩი უეფას თასზე და შინ დამარცხდა ფრანგულ „სოშოსთან“. სტადიონზე მყოფი კაცისთვის ძნელია საკუთარი გუნდის მარცხის ცქერა, მისი ნაკლოვანებების ახლოდან დანახვა. მაგრამ იმასაც ვერ წავუვალთ, რომ „დინამომ“, გამოუცდელმა და ახალგაზრდამ, მისთვის სრულიად ახალ სამყაროში შეაბიჯა და ბევრი საფეხბურთო საიდუმლოს შეცნობა სწორედ გზადაგზა უწევს.

უეფას თასის ჯგუფში მოხვედრის ერთ-ერთი სარგებელი სწორედ ახალი გამოცდილების შეძენაა. გამოცდილება კი შრომითა და ბრძოლით შეიძინება, სწორედ ისეთი სიმძაფრის თამაშებში, ხუთშაბათს რომ გაიმართა „ლოკომოტივზე“.

თუმცა, უმჯობესია, დინამოელთა მწვრთნელს, გია გეგუჩაძეს მოვუსმინოთ, სწორედ მან იცის, რა შეიძინა მისმა გუნდმა და რა აკლია „დინამოს“

გია გეგუჩაძე: „ოცნებაა, ფიფა“

— ობიექტურები ვიყოთ, „სოშოსთან“ წაგება ლოგიკურია, დღესდღეობით ფრანგებს ჩვენზე ძლიერი გუნდი ჰყავთ და დავმარცხდით კიდეც — გვითხრა გია გეგუჩაძემ — ბუნებრივია, უკმაყოფილო დავრჩი. თუმც ისტორიას ისეთი მაგალითებიც ახსოვს, როცა გუნდებს შორის კლასში აშკარა სხვაობა ყოფილა, მაგრამ სუსტს მაინც მოუგია.

— იმას ამბობთ, რომ „დინამოსა“ და „სოშოს“ შორის ძალიან დიდი სხვაობაა?

— არა, არ ვამბობ, რომ „სოშო“ „დინამოზე“ ათი თავით მაღლა დგას, თუმც ფაქტია — „სოშო“ კლასით ჩვენზე მეტია. „დინამო“ კი მზარდი გუნდია და ვიმედოვნებ, მომავალში „სოშოს“ და მასზე ძლიერი მეტოქეების დამარცხებასაც შევძლებთ. ეს კი ბუნებრივია, ჩვენი კლასის ამაღლების ხარჯზე უნდა მოხდეს.

— ობიექტურები ვიყოთო, თქვით. შეეძლო „დინამოს“ „სოშოს“ დამარცხება?

— შეგვეძლო, რატომაც არა. „დინამომ“ მეორე ტაიმში ბევრი რეალური საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ვერც ერთი გამოიყენა. კლასიც ეგაა, მომენტი უნდა გამოიყენო.

— როგორ ფიქრობთ, რომელ წმინდა საფეხბურთო კომპონენტში აჯობა „დინამომ“ მეტოქეს?

— კონკრეტულად ვერ გეტყვით, თუმც მგონია, რომ „დინამო“ უფრო ბრძოლისუნარიანი იყო, ჩვენებმა მეორე ტაიმში მეტი ჟინით ითამაშეს. ეს, რა თქმა უნდა, წმინდა საფეხბურთო კომპონენტი არ არის, მაგრამ ესეც ხომ არის — უბრძოლველად ვერაფერს გააკეთებ.

— ბრძოლა, ჟინი მეორე ტაიმში იყო. იქამდე ჩვენები რატომ ვერ თამაშობდნენ?

— ზოგი ზედმეტად ნერვიულობდა, ზოგიც ზედმეტად თავდაჯერებული იყო და შეცდომებიც მრავლად ჰქონდათ. ერთსულოვნება, შემართება აკლდა „დინამოს“ პირველ ტაიმში. ის გოლებიც, რომლებიც „სოშომ“ გაიტანა, ჩვენების შეცდომების შედეგი უფრო იყო, ვიდრე ფრანგების დამსახურება.

— მეორე ტაიმში კი მოედანზე სხვა „დინამო“ იყო. რა უთხარით გუნდს შესვენებაზე? თითქოს მნიშვნელოვანი ტაქტიკური გადაადგილებები არ გაგიკეთებიათ, მაგრამ თამაში აშკარად უკეთესი გამოვიდა.

— ყველა შეცდომის ასახსნელად, სათითაოდ ახალი დავალებების მისაცემად დრო, ფაქტობრივად, არც მქონდა. შევთანხმდით, რომ „სოშო“ უძლეველი გუნდი სულაც არ იყო, რომ მეტი ჟინით ვითამაშებდით, მეტოქეს იქით ავანერვიულებდით და თამაშის შემოტრიალებას ვეცდებოდით. და რაც მთავარია, ბიჭები დარწმუნდნენ, რომ „სოშომ“ გოლები ისევ და ისევ ჩვენი შეცდომების შედეგად გაგვიტანა.



„სოშოს“ ტექნიკურ დირექტორს ბერნარ ჟენგინის და პრეზიდენტს ჟან-კლოდ პლესის ასაღლეველი არ დაჰკლებიათ

— თქვენ რა შეცდომები გქონდათ? სიტყვაზე, თამაში რომ დღეს იყოს, „დინამოში“ რას შეცვლიდით?

— ვფიქრობ, არც შემადგენლობას შევცვლიდი, არც ტაქტიკურ მონახაზს, თუმც ბიჭებზე ფსიქოლოგიურად უფრო მეტს ვიმუშავებდი და მათ დამშვიდებას ვეცდებოდი. გუნდს ვეტყოდი, რომ „სოშოს“ კარზე მატჩის დაწყებისთანავე შტურმი მოეწყოთ, ისე, როგორც მეორე ტაიმში გავაკეთეთ.

— და რატომ მოერიდეთ თავიდანვე შტურმს?

— „სოშო“ კონტრშეტევების გუნდია და იმიტომ. ფრანგებს სწრაფი, მოქნილი, ტექნიკური ნახევარმცველები ჰყავთ და ვიფიქრე, კონტრშეტევაზე არ დაგვიჭირონ-მეთქი. თუმც მატჩი რომ დაიწყო, კარგად გამოჩნდა, რომ „სოშო“ ჩვენზე არანაკლებ ნერვიულობდა, ასეთ დროს კი შტურმით გოლთან ახლოს ვიქნებოდით.

— გამოდის, „სოშოს“ ნერვიულობას არ ელოდით?

— არც მთლად ეგრეა. ის შეცდომები რომ არ გვქონოდა, რითაც ფრანგებმა ისარგებლეს, ჩვენი ტაქტიკა მატჩის დასაწყისში გამართლებული იქნებოდა. ადრე თუ გვიან მეტოქის დაცვაში ხვრელი აუცილებლად გამოჩნდებოდა. ისე კი, „სოშომ“ ზუსტად ისე ითამაშა, რასაც ველოდი. შემადგენლობაც გამოვიცანით, თუმც უფრო ვფიქრობდი, რომ მარცხენაფლანგელი მაღალი მცველი მატეი ჩვენთან მარჯვნივ ითამაშებდა.

— მოკლედ, „სოშოს“ არაფრით გაუკვირვებიხართ?

— არაფრით. ვიცოდით, რა გუნდს ვეთამაშებოდით და როგორ ითამაშებდა. უფრო „სოშოს“ მწვრთნელის გადაწყვეტილებამ გამაკვირვა, მეორე ტაიმში თამაში ერთი თავდამსხმელით რომ განაგრძო. ილანი შეცვლილი იყო, მერე მენეზი გავიდა და „სოშო“, ფაქტობრივად, უფორვარდოდ დარჩა. წინ გადასროლილი ორუმა უფრო ნახევარმცველია და არა თავდამსხმელი. ჩვენ კი „სოშოს“ დაცვითი ვარიანტით ვისარგებლეთ და შეტევა გავაძლიერეთ. ერთბაშად ოთხი თავდამსხმელითაც ვუტევდით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, არადა, რამდენი მომენტი გვქონდა?! ჩვენ გავრისკეთ, თუმც სხვა გზა აღარც გვქონდა.

— კვირკველიას და კანკავას რომ ეთამაშათ, რა შეიცვლებოდა?

— ისინი, რა თქმა უნდა, დაეხმარებოდნენ, გააძლიერებდნენ „დინამოს“, მაგრამ ვინც მათ შემცვლელებად ვათამაშე, არც მათ მიმართ მაქვს პრეტენზიები. რომერომაც და კაშიამაც კარგად ითამაშეს მიუხედავად იმისა, რომ არც რომეროა მარცხენა მცველი და არც კაშია საყრდენი ნახევარმცველი.

— სიტყვამ მოიტანა და, კვირკველიას კიდევ დიდი ხანი მოუწევს დასვენება?

— ოთხშაბათს მას განმეორებით გამოკვლევას ჩავუტარებთ. დღესდღეობით კი, როგორც ექიმები ამბობენ, აღდგენითი პროცესი გაურთულებლად მიდის და შესაძლოა კვირკველიამ ხუთშაბათიდან უკვე ვარჯიშიც დაიწყოს.

— მომდევნო მატჩი ნიუკასლში გელით, იქ კი უკვე დისკვალიფიცირებული ჭიჭვეიშვილი ვერ ითამაშებს. „დინამოს“ სკამი ნამეტანი მოკლე ხომ არ არის?

— მოკლეა და ეს ჩემი სასელექციო მუშაობის ბრალია. ისიცაა, რომ „დინამოს“ ფეხბურთელებს, ამ სეზონში განსაკუთრებით, ძალიან დიდი დატვირთვები აქვთ. აქეთ ჩემპიონატი, თასი და უეფას თასი, იქით ეროვნული თუ სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებები. ასეთ შემთხვევაში გრძელი სკამი აუცილებელია. მაგრამ არა უშავს, ნელ-ნელა ვიზრდებით, გამოცდილება გვემატება და, რაც მთავარია, აშკარად ჩანს, რომ სწორი გზით მივდივართ. მომავალში კიდევ უფრო გავძლიერდებით და შედეგიც უკეთესი გვექნება.

ძოგა ინასარიძე

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — 16 ივლისი — 12 ტური — ანონსი

თბილისი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. ლოკომოტივი

ლოკომოტივი — ზესტაფონი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

ქუთაისი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო

ტორპედო — კოლხეთი

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

ბოლნისი. 24 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

სიონი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

თბილისი. 25 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი

თბილისი — დინამო

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

მცხეთა. 25 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი

ვიტ ჯორჯია — დილა

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კუტივაძე

ტელეფონი, გუორდები ზესტაფონში თემური წყობილება მყარდება

ორ დღეზე გადანაწილებულ მეთორმეტე ტურში მთავარი მატჩი ორშაბათსაა: „თბილისი“ — „დინამო“.

ამ წყვილზე საუბარს ორშაბათის „სარბიელშიც“ მოვასწრებთ და ამიტომ ახლა სხვებზე ვთქვათ.

ტური ხვალ იწყება. „ლოკომოტივი“ — „ზესტაფონი“, „ტორპედო“ — „კოლხეთი“ და „სიონი“ — „ბათუმი“, აი, საკვირაო წყვილები. „თბილისს“ — „დინამოს“, ცხადია, ერთიც ვერ შეედრება, მაგრამ ინტრიგა არც ამ მატჩებს აკლიათ.

ბადრი კბილაძის ფოტო

ხვალ „ტორპედოს“ მეგოლე გია მეგრელაძე არ ეყოლება

ბევრი იფიქრებს, ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტის, „ლოკომოტივისა“ და მაჩანჩალა „ზესტაფონის“ შეხლაში საინტერესო რა უნდა იყოსო, მაგრამ არც ასეა საქმე. იმერლებს „ჩაკეტილი ფეხბურთის“ მოყვარული თემურ მახარაძე წვრთნის და ძნელი სათქმელია, გაამტვრევს თუ არა „ლოკომოტივი“ იმერულ შლაგბაუმს.

ისიც ვთქვათ, რომ სწორედ „ლოკომოტივთან“ მატჩში უმთავრდება მახარაძეს დისკვალიფიკაცია და ტრიბუნიდან სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს. იმერელთა თავი გუნდს აქამდე მობილური ტელეფონით ხელმძღვანელობდა. ასე რომ, ზესტაფონელებს მონობარათის ფულიც დაეზოგებათ...

მახარაძის „ზესტაფონი“ წინა ტურში ლიდერ „ტორპედოს“ გაეჩხირა ყელში — ქულა აართვა — და ახლა იშტაზეა, თუმც ფაქტი ჯიუტია — ფავორიტი „ლოკომოტივია“.

რკინიგზელებს ისიც აგულიანებთ, რომ თასის მერვედფინალში „სპარტაკს“ სტუმრად მოუგეს და თან მეორე დღეს... „თბილისი“ — „დინამოა“. ცხადია, ამათგან ერთი მაინც დაკარგავს ქულებს, რაც ზაურ სვანაძის გუნდის წისქვილზე ასხამს წყალს.

მოულოდნელობას ქუთაისშიც არ გამოვრიცხავთ. „ტორპედომ“ სეზონი მძლავრად კი დაიწყო, მაგრამ სეზონისწინა უქმობა უკვე თავს იჩენს და ამის გამო რიონისპირელებმა დასანანი ქულები გაანიავეს. მთავარი ამბავი კი ისაა, რომ „ტორპედოს“ მეგოლე გია მეგრელაძე ჰყავს დისკვალიფიცირებული — „ზესტაფონთან“ უიღბლო მატჩში გაუძევეს.

უმეგრელაძეო „ტორპედო“ სამიოდ დღის წინ ვნახეთ — თასის მერვედფინალში. წნორის „მილანი-მერანთან“ გია დუბლიორმა გიორგი დარსაძემ შეცვალა და მან ორი გოლის გატანაც შეძლო. მართალია, პირველლიგელი „მილანი-მერანი“ ფოთის „კოლხეთს“ ვერ დაეტოლება, მაგრამ ახალგაზრდა დარსაძისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

„ტორპედო“ — „კოლხეთის“ მატჩში მასპინძელთა მოგებაში მხოლოდ მეგრელაძის არყოფნის გამო როდი გვეპარება ეჭვი. მიზეზი რიონის ბოლოშიცაა საძებნი — კერძოდ, სერგო გაბელაიას გუნდი ნელ-ნელა აზრზე მოდის და ვის სად გამოსდებს სარმას, ძნელი სათქმელია.

ბოლნისში მესამეადგილოსანი „ბათუმი“ ჩადის. „სიონი“ უკვე აღარაა ისეთი საშიში, როგორიც ადრე იყო და „თამაზ სტეფანიას“ სტუმრებსაც მუხლები აღარ უკანკალებთ. ისე, ბათუმელებს გვარიანი დანაკლისი აქვთ — სლოვაკეთში წასულ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე გაუშვეს, მაგრამ არა მგონია, ამან „სიონის“ შანსები დიდად გაზარდოს. ასეთ „სიონს“ ლევან ხომერიკისა და ზვიად ფირცხალაიშვილის დუეტიც უნდა ეყოს.

ძახა ზალამბერიძე

დინამო	11	8	2	1	27:9	26
ტორპედო	11	6	4	1	16:5	22
ბათუმი	11	6	3	2	18:7	21
თბილისი	11	6	2	3	21:13	20
ლოკომოტივი	11	5	5	1	16:5	20
ვიტ ჯორჯია	11	5	2	4	21:17	17
დილა	11	2	1	8	8:20	7
კოლხეთი	11	2	1	8	7:20	7
სიონი	11	2	1	8	10:28	7
ზესტაფონი	11	2	1	8	7:27	7

ფეხბურთი

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა

პირველი ლიგა

24 ოქტომბერი

მეათე ტური

ამერი — საგარეჯო

თბილისი — საგარეჯო

დასაწყისი 15 საათზე. დასწრება უფასოა

მის: თიანეთის გზატეხილი 25 (გლდანულას გადასახვევთან)

მატჩის მსვლელობა ონლაინ-რეჟიმში საიტზე: www.fcameri.ge

პირველი ბურთი გაბოდდა და პირველი ბუნი ფეიერვერკი



ბადრი კბილაძის ფოტო

ფოთმა ენერგია სწორად უნდა დახარჯოს

სამი ტურის წინ ფოთის „კოლხეთს“ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს — სერგო გაბელაიას ხელში გუნდმა თითქოს თვალებში გამოიხედა, ბრძოლისუნარიან კოლექტივად გარდაისახა და სამ თამაშში ოთხი ქულა მოინაგრა.

გაბელაიას მანამდე უმაღლესი ლიგის სხვა გუნდებიც გაუწვრთნია — „მერანი“, „ვიტ ჯორჯია“, „მერცხალი“ და არც ფოთშია ახალი კაცი...

დამდეგ ტურში „კოლხეთს“ ძალიან რთული გასვლა ელის ქუთაისში, მანამდე კი გაბელაია ჩვენთან სასაუბროდ „მოვაცდინეთ“...

— „კოლხეთი“ სამი ტურის წინ ჩაიბარეთ და გუნდს უკეთესობა უკვე ეტყობა — როგორ მოახერხეთ ეს?

— პირველ რიგში ფეხბურთელებს რწმენა ჩავუნერგე — ყველაფერი ამის შემდეგ ხდება — ძალების სწორი კონცენტრაცია, რითაც გუნდი კონკრეტულ თამაშამდე უნდა მიიყვანო. კიდევ დისციპლინა მინდორს გარეთ და მინდორზე — ფეხბურთელმა ენერგია სწორად უნდა დახარჯოს.

— წინა ტურში შინ „თბილისს“ ხუ მოუგეთ, თუმც სტუმრებმა მსაჯი დაადანაშაულეს და პროფლიგამაც ამ მატჩის არბიტრ ალექსანდრე შილაკაძეს და თანამსაჯ მამუკა ელიკაშვილს დროებით, განაჩენის გამოტანამდე მსაჯობა აუკრძალა — მათ თბილისელ გიორგი მიქაძეს არ ჩაუთვალეს გოლი...

— მიკერძოებული მსაჯობა ნამდვილად არ ყოფილა, ახლა ისეთი დრო აღარაა, რომ ასეთი რაღაცეები მოხდეს. რაც შეეხება იმ კონკრეტულ ეპიზოდს, იმ ადგილიდან, სადაც მე ვიყავი, ისე არ ჩანდა ყველაფერი, რომ გადაჭრით რაღაც ვთქვა.

— ფინანსური სიტუაცია როგორია „კოლხეთში“?

— ყველაფერი ნორმალურადაა და არც მანამდე იყო გაჭირვება. კლუბს ფეხბურთელების ორი პრემია აქვს გასასტუმრებელი და ესეც მალე მოხდება. „კოლხეთს“ ახლაც ფოთის პორტი პატრონობს, რომლის უფროსი თემურ მიმინოშვილი კლუბის პრეზიდენტიცაა.

— ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის „კოლხეთი“ გაძლიერებას არ აპირებს?

— საამისო მონახაზი უკვე გვაქვს და კლუბი მალე ნორმალურ სახეს მიიღებს — საქართველოს ჩემპიონატში „კოლხეთი“ კვლავ ერთ-ერთი მოწინავე გუნდი გახდება. ახლა კი ჩვენი ამოცანაა, რომ „კოლხეთი“ გასავარდნი ზონიდან ამოვქაჩოთ.

— „კოლხეთში“ თქვენ ადრეც გიმუშავიათ...

— 1994-96 წლებში სოსო ფილიას თანაშემწე ვიყავი. ფოთი მართლაც განსაკუთრებული საფეხბურთო ქალაქია — საქართველოში პირველი ბურთი აქ გაგორდა და პირველი ბუცი აქ შეიკერა — ფოთში რომ ფეხბურთი არ იყოს, წარმოუდგენელია.

— გასაგებია, მაგრამ მაყურებელი თუ დადის ახლა „კოლხეთის“ თამაშებზე?

— „თბილისს“ მოვუგეთ, მერე თასის მერვედფინალში „ცხინვალი“ დავამარცხეთ და მაყურებელიც ნელ-ნელა მოტრიალდება სტადიონისკენ — „კოლხეთმა“ რაღაც სახე უკვე აჩვენა.

— სტრუქტურულად რა ვითარებაა „კოლხეთში“?

— ჩვენი ფარმკლუბი რეგიონულ ლიგაში თამაშობს და საკმაოდ ნორმალურადაც. ფარმკლუბი მეტწილად 1988 წელს დაბადებულებითაა დაკომპლექტებული და რამდენიმე კარგი ჭაბუკი უკვე, ასე ვთქვათ, ჩანს.

დავით თავართქილაძე

უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. I ტური

A ჯგუფი

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 3:0 ჰართსი (შოტლანდია)

1:0 კუიტი (21), 2:0 გოორი (58), 3:0 კუიტი (83)

შალკე (გერმანია) 1:1 ბაზელი (შვეიცარია)

1:0 კობიაშვილი (8), 1:1 მ. დელგადო (82)

შალკე: ფ. როსტი, კ. პოულსენი, ბორდონი, კრსტაიჩი, პანდერი, ლინკოლნი (აილტონი 87), უდე კამპუისი, ჰამიტ ალტინტოპი (გ. ვარელა 67), კობიაშვილი, სანდი (პანკე 86), ასამოა

მწვრთნელი: რალფ რანგნიკი

გაფრთხილება: ალტინტოპი, პანკე

მსაჯი: იოჰან ვერბისტი (ბელგია)

52 870 მაყურებელი

ფეიენოორდი	1	1	0	0	3:0	3
ბაზელი	1	0	1	0	1:1	1
შალკე	1	0	1	0	1:1	1
ფერენცვაროში	0	0	0	0	0:0	0
ჰართსი	1	0	0	1	0:3	0

II ტური: 4 ნოემბერი

ჰართსი — შალკე ფერენცვაროში — ფეიენოორდი

B ჯგუფი

ბილბაო (ესპანეთი) 2:0 პარმა (იტალია)

1:0 გურპეგი (5), 2:0 დელ ორნო (49)

სტიაუა (რუმინეთი) 2:0 სტანდარდი (ბელგია)

1:0 დრაგუტინოვიჩი (71ს.კ.), 2:0 ნიაგა (81)

ბილბაო	1	1	0	0	2:0	3
სტიაუა	1	1	0	0	2:0	3
ბეშიქთაში	0	0	0	0	0:0	0
პარმა	1	0	0	1	0:2	0
სტანდარდი	1	0	0	1	0:2	0

II ტური: 4 ნოემბერი

პარმა — სტიაუა ბეშიქთაში — ბილბაო

C ჯგუფი

სარაგოსა (ესპანეთი) 2:0 უტრეხტი (ჰოლანდია)

1:0, 2:0 ვილა (77, 82)

დნიპრო (უკრაინა) 3:2 ბრიუგე (ბელგია)

1:0 ვენგლინსკი (17), 1:1 ნ. ჩეჩი (37), 1:2 ბალაბანი (44), 2:2 რიკუნი (45), 3:2 ვენგლინსკი (62)

სარაგოსა	1	1	0	0	2:0	3
დნიპრო	1	1	0	0	3:2	3
აუსტრია	0	0	0	0	0:0	0
ბრიუგე	1	0	0	1	2:3	0
უტრეხტი	1	0	0	1	0:2	0

II ტური: 4 ნოემბერი

უტრეხტი — დნიპრო აუსტრია — სარაგოსა

E ჯგუფი

ეგალეო (საბერძნეთი) 0:1 მიდლსბრო (ინგლისი)

0:1 დოუნინგი (78)

ლაციო (იტალია) 1:1 ვილიარეალი (ესპანეთი)

0:1 ხოსე მარი (4), 1:1 როკი (84)

მიდლსბრო	1	1	0	0	1:0	3
ვილიარეალი	1	0	1	0	1:1	1
ლაციო	1	0	1	0	1:1	1
პარტიზანი	0	0	0	0	0:0	0
ეგალეო	1	0	0	1	0:1	0

II ტური: 4 ნოემბერი

მიდლსბრო — ლაციო პარტიზანი — ეგალეო

F ჯგუფი

ოსერი (საფრანგეთი) 0:0 გრაცერი (ავსტრია)

ამიკა (ჰოლონეთი) 0:5 რეინჯერსი (შოტლანდია)

0:1 ლოვენკრანდსი (18), 0:2 ნოვო (58), 0:3 რიკსენი (69), 0:4 არველაძე (74პ), 0:5 ტომპსონი (89)

რეინჯერსი: შ. კლოსი, ხიზანიშვილი, ენდრიუსი, ბუმსონგი, ვინალი, რიკსენი, მალკოლმი, ბარკი, ლოვენკრანდსი (ნოვო 54), არველაძე (ნამუში 78), პრსო (ს. ტომპსონი 71)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: ხულიან როდრიგეს სანტიაგო (ესპანეთი)

5 000 მაყურებელი

რეინჯერსი	1	1	0	0	5:0	3
გრაცერი	1	0	1	0	0:0	1
ოსერი	1	0	1	0	0:0	1
ალკმაარი	0	0	0	0	0:0	0
ამიკა	1	0	0	1	0:5	0

II ტური: 4 ნოემბერი

გრაცერი — ამიკა ალკმაარი — ოსერი

G ჯგუფი

ბევერენი (ბელგია) 1:5 შტუტგარტი (გერმანია)

0:1 კაკაუ (9), 0:2 კურანი (40), 0:3 კაკაუ (53), 0:4 ლამი (77), 1:4 ნდრი (87), 1:5 საბიჩი (90)

ბენფიკა (პორტუგალია) 4:2 ჰერენვენი (ჰოლანდია)

1:0 დოს სანტოსი (14), 2:0 ნუნუ გომეში (32), 2:1 უგური (48), 2:2 პუნტელაარი (53პ), 3:2 კარადასი (73), 4:2 ნუნუ გომეში (78)

შტუტგარტი	1	1	0	0	5:1	3
ბენფიკა	1	1	0	0	4:2	3
დინამო	0	0	0	0	0:0	0
ჰერენვენი	1	0	0	1	2:4	0
ბევერენი	1	0	0	1	1:5	0

II ტური: 4 ნოემბერი

შტუტგარტი — ბენფიკა დინამო — ბევერენი

H ჯგუფი

ალემანია (გერმანია) 1:0 ლილი (საფრანგეთი)

1:0 მეიერი (67)

ზენიტი (რუსეთი) 5:1 აეკ (საბერძნეთი)

0:1 კრასასი (3), 1:1 არშავინი (44), 2:1, 3:1, 4:1 კერჟაკოვი (48, 54, 68), 5:1 დენისოვი (86)

ზენიტი	1	1	0	0	5:1	3
ალემანია	1	1	0	0	1:0	3
სევილია	0	0	0	0	0:0	0
ლილი	1	0	0	1	0:1	0
აეკ	1	0	0	1	1:5	0

II ტური: 4 ნოემბერი

ლილი — ზენიტი სევილია — ალემანია

გოლწითელა ხოსე მარი

რეინჯერსმა ამიკას ხუთიანი დაუწერა

მერვე წუთი იყო, როდესაც სრულიად გამაოგნებელი შორეული დარტყმით ლევან კობიაშვილმა „შალკე“ დააწინაურა, მაგრამ ინტერტოტის თასის გამარჯვებულმა სამი ქულა ვერ მოიპოვა — „ბაზელის“ შემადგენლობაში შეცვლაზე შესულმა დელგადომ ლევანზე არანაკლები სილამაზის გოლით გასცა გელზენკირხენელებს პასუხი.

სხვა მხრივ რა? ის, რომ ორივე გუნდი ტრავმირებული ფეხბურთელების არყოფნას სჩიოდა. „შალკეს“ მწვრთნელმა რალფ რანგნიკმა გასულ შაბათს, „ბაიერნის“ 1:0 დამმარცხებელ გუნდთან შედარებით ერთი ფეხბურთელით სახეცვლილი შემადგენლობა ათამაშა, ხოლო „ბაზელის“ თავკაცმა „სერვეტთან“ გამარჯვებული თერთმეტეული გაიმეორა.

მას მერე, რაც კობიაშვილმა კრისტიან პოულსენისგან პასი მიიღო, იარა და როგორც გითხარით, 25 მეტრიდან ეფექტურად შეაგდო. „შალკე“ მეორეს გასატანად მიაწვა სტუმრებს, მაგრამ 26-ე წუთზე „ბაზელის“ მეკარემ პასკალ ცუბერბიულერმა საკუთარი მცველის ფეხიდან აჭრილი ბურთი მოიგერია. 36-ე წუთზე კი უკვე შვეიცარიელებს შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ფრანკ როსტმა იყოჩაღა.

მეორე ნახევარში თამაში უფრო გაიხსნა და ორივე მეკარეს მოუწია ოსტატობის გამოვლენა, ბოლოს კი დელგადომ ჯარიმიდან ჩაახვია მასპინძლების კარში.

– თბილისში ვამბობთ, რომ „დინამოს“ ფრანგულმა „სოშომ“ ევროპული ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარა. ჰოდა, ძალიან კარგი, გაკვეთილს რა სჯობია, გაკვეთილზე ჭკვიანი სწავლობს, მაგრამ გვერწმუნეთ, თუ ვინმეს აქვს სასწავლი და სამეცადინო, ეს პოლონური „ამიკაა“, რომელსაც „გლაზგო რეინჯერსმა“ ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა.

ყველაფერი პირველი ტაიმის მე-18 წუთზე პეტერ ლოვენკრანდსის გოლით დაიწყო, მაგრამ მთავარი მოვლენები შესვენების შემდეგ განვითარდა, როდესაც ნაჩო ნოვომ, ფერნანდო რიკსენმა, შოთა არველაძემ და სტივ ტომპსონმა თავიანთი გოლები შეყარეს. სავარაუდოდ, სქოთებს ხორვატი დადო პრსო რომ ჰყოლოდათ, ისიც გაიტანდა.

ხოსე მარიმ (მარცხნივ) ჯერ გაიტანა, მერე გააგდეს

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ არველაძეზე, რომელმაც პირველ გოლშიც დიდი წვლილი შეიტანა. კერძოდ, „ამიკას“ დაცვაში შეიჭრა და როდესაც საბოლოოდ პოლონელებმა ბურთის წართმევის მაგვარი მოუხერხეს, ის ლოვენკრანდსს მიუვიდა, რომელმაც ერთი შეხებით გააჩერა, მეორეთი შეაგდო. თავისი გოლი კი შოთამ პენალტით გაიტანა.

გვინდა გამოვარჩიოთ „ბენფიკასა“ და „ჰერენვენის“ G ჯგუფის შეხვედრა. ამ შეხვედრაში ორი გოლი ნუნუ გომეშმა გაიტანა, მაგრამ ამაზე საინტერესო ის იყო, რომ პორტუგალიელები ჯერ 2:0-ს იგებდნენ, შემდეგ ორი გაუშვეს, ბოლოს კი კიდევ ორი შეაგდეს.

E ჯგუფში, „ლაციოსა“ და „ვილიარეალის“ შეხვედრაში ანგარიში თამაშის დასაწყისშივე, მე-4 წუთზევე გაიხსნა — ეს ხოსე მარიმ შეძლო. ხოსე მარის ამ დღეს საინტერესო ბედი ეწია. დავიწყოთ იმით, რომ წინასწარ არავინ იცოდა, შეძლებდა თუ არა თამაშს, ვინაიდან მუცლის გვრემა შეჰყროდა, მაგრამ რომ გადაუარა, მოედანზე შევიდა და, როგორც ზემოთ გითხარით, ანგარიში მყისიერად გახსნა. აი, მერე კი მოედნიდან გააგდეს. მიზეზი: ჯულიანო ჯანიკედას სახეში იდაყვი უთავაზა, რის გამოც გერმანელმა მსაჯმა მიხაელ ვერნერმა უყოყმანოდ ამოუღო წითელი ბარათი.

„ლაციომ“ ამის მერე, 84-ე წუთზე გაქვითა. ამ ეპიზოდში გოლის ავტორს, ტომაზო როკის ჩინებული ასისტენტობა ლუჩანო ძაურიმ გაუწია.

B ჯგუფში საინტერესო გუნდების დაპირისპირება ბილბაოში გაიმართა, სადაც ბასკმა მცველმა ასიერ დელ ორნომ მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე შეაგდო თამაშის მეორე და უკანასკნელი გოლი, ხოლო პირველი ისევ მასპინძლებმა, პირველ ტაიმში, მე-5 წუთზე შეაგდეს. ეს კარლოს გურპეგიმ გააკეთა. ალბათ, ბასკებთან მარცხი იმითაც იყო განპირობებული, რომ „პარმამ“ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დასვენა, თუნდაც გურპეგის გოლი ავიღოთ: „პარმას“ ფეხბურთელებმა შორიდან მოწოდებული აუტი ვერ ჩაჭრეს და მანაც 25 მეტრიდან დაარტყა.

ამ გოლიდან სამ წუთში ბასკებმა კინალამ კიდევ ერთი გოლი გაიტანეს. ისმაელ ურსაისმა მცველებს ჩაუქროლა, მაგრამ ააცილა, ხოლო ერთი ხნის შემდეგ მეკარე ჯანლუკა ბენტიმ აუღო თავური.

„პარმამ“ თავის მხრივ მხოლოდ მაშინ შეუტია, ანგარიში უკვე 0:2 რომ იყო.

პაპუნა კედია

ნუნუ გომეში „ბენფიკას“ ორი გოლით შეეწია

იტალია

ჰაკუნა ჯედია

ხვალ. 22.30. „სან სირო". მსაჯი: რობერტო როზეტი

მილანი VS ინტერი

სან სიროზე გზის გასაყარზე

ხვალ „სან სიროზე" დიდი დერბია, მილანური, მადონინა, რომ ჰქვია... ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი! თან, ფეხბურთის გურმანთათვის ამ ისედაც დიდებულ კერძს ერთი საჩვენო სუნელიც ემატება: როგორც „გაძეტა დელო სპორტის", ასევე საინტერნეტო ვებ-გვერდების ვარაუდით, „მილანის" მარცხენა მცველი კახა კალაძე იქნება. „გაძეტა დელო სპორტი" წერს, რომ „შავ-წითელთაგან" ამ შეხვედრაში ვერ ითამაშებენ იაპ სტამი და ერნან კრესპო. აი, სტამი მოედანზე რომ ყოფილიყო, მაშინ კარლო ანჩელოტის იქნებ იგივე ვარიანტი გაემეორებინა, „ბარსელონასთან" რომ გამოიყენა, ანუ სტამი შუაში დაეყენებინა, მარცხნივ კი პაოლო მალდინი გაეშვა, მაგრამ ახლა — თუ მილანური ვარდისფერფურცლიანი გაზეთი მართალია — მწვრთნელი სულ სხვა ვარიანტს ამზადებს: კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი და კალაძე, ასეთი იქნება მილანელთა დაცვა.

და თუ დაცვა ვახსენეთ, მაშინ სხვა ჯგუფების ამბავიც ვთქვათ: ნახევარდაცვაში ანჩელოტი გატუზოს, პირლოს და ზეედორფს ათამაშებს, თავდასხმელების უკან და ამ ტრიოს წინ რუი კოშტას, ხოლო უშუალოდ კარზე შევჩენკო და იონ დალ ტომასონი იქნებიან დაგეშილნი.

ახლა „ინტერი" განვიხილოთ. იმავე გაზეთის ვარაუდით, „შავ-ლურჯები" ზუსტად მილანისებური სისტემით აპირებენ თამაშს. დაცვაში ხავიერ ძანეტი, კორდობა, მატერაცი და ფავალი, ნახევარდაცვაში კამბიასო, ემრე და ვერონი, მათ წინ და თავდამსხმელების უკან სტანკოვიჩი, ხოლო წინ ადრიანო და ვიერი.

მეორე მხრივ, უნდა ითქვას, რომ ზოგი საინტერნეტო ვებ-გვერდის ვერსია „გაძეტა დელო სპორტის" ვერსიისგან განსხვავებულია. თუმცა ვიმეორებთ, რომ კალაძესთან დაკავშირებით ყველა ერთი აზრისაა და ამის შემდეგ მაინც საქართველოს ნაკრების კაპიტანი რომ არ ათამაშონ, შავი ხუმრობა გამოუვათ.

— დერბი ყოველთვის უცნაური თამაშია. აქ ორივე გუნდი მაინც და მაინც ლამაზი ფეხბურთით ცდილობს გამარჯვებას, ამიტომ სანახაობის გარანტიას გაძლევთ — გვპირდება „ინტერის" მცველი მარკო მატერაცი, რომელიც ამასთან არც დერბის პრაქტიკულ მნიშვნელობას ივიწყებს — ეს მატჩი გზის გასაყარზე დგას. თუ დავმარცხდებით, ანუ „იუვენტუსს" ძალიან ჩამოვრჩებით, შეიძლება მერე მთელ ჩემპიონატში ძალიან გაგვირთულდეს საქმე. დიდი ჩამორჩენის გამოსწორება უძნელეს ამოცანად გადაიქცევა. სხვათა შორის, ოთხშაბათს „ვალენსიამ" არც მეტი, არც ნაკლები, შეგვამოწმა, კარგად ვიყავით თუ არა „მილანთან" მატჩისთვის მომზადებული და ახლა, გამოცდის ჩაბარების შემდეგ მთელი ყურადღება აქეთკენ გვექნება მიმართული...

შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს ვალენსიაში „ინტერმა" ჩემპიონთა ლიგის თამაში მოიგო 5:1.

მატერაცი განაგრძობს:

ანდრეი შევჩენკოს „ინტერის" დაცვა ბევრჯერ დაუწიოკებია

— მილანური დერბი, ვფიქრობ, „იუვენტუსთან" თამაშზე უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო ვინ უფრო დიდ ყურადღებას აქცევს მას, „ინტერი" თუ „მილანი"... ჩემი პასუხია, ორივე. მით უფრო დღეს, როდესაც, ვიმეორებ, არც ჩვენ გვინდა, რომ „იუვენტუსი" ძალიან დაწინაურდეს და არც „მილანს".

„ინტერის" პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი — „კვირას როგორც ჩვენი, ასევე „მილანის" შემოწმების დღეა, თუმცა მართალსა და მტყუანს სეზონის ბოლომდე მაინც ვერ გავიგებთ. კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს იქნება ადრიანოს და ანდრეი შევჩენკოს საინტერესო დუელი. განსაკუთრებით მოხარული ვარ ფრანჩესკო ტოლდოს დაბრუნებით. მას მოედნის გარეთა პრობლემები ჰქონდა, მაგრამ მანჩინისთან ყველაფერზე ილაპარაკა და კვირას კარში იდგება".

სახელიანები და უსახელონი

სერია A-ს ლიდერი, „იუვენტუსი" სიენაშია და დღეს, ჩვენი დროით თერთმეტის ნახევრიდან პირველის წუთებამდე თავისი ლიდერობის განმტკიცებას შეეცდება. თეორიულად „სიენა" ძნელი დასამარცხებელი არ უნდა იყოს, რადგან ცხრილში ბოლოდან მეოთხეა, მაგრამ მეორე მხრივ, იმავე „სიენამ" წინა ტურში „ფიორენტინასთან" ფლორენციაში არ წააგო — 0:0 ითამაშა.

ვარაუდობენ, რომ „ბებერი ქალბატონის" თავკაცი, ფაბიო კაპელო შემადგენლობას დიდად არ შეცვლის, თუმცა თავდასხმაში, ალბათ, მაინც მოუწევს გარკვეული ვარიაციების ჩატარება, რადგან ალესანდრო დელ პიერო ჯერ მთლად გამოჯანმრთელებული არ არის და მისი თავიდანვე თამაში სჯობს თუ სასტარტო შემადგენლობაში მარსელო ზალაიეტას გაყვანა და დელ პიეროთი შემდეგ შეცვლა, საფიქრალია.

„სიენას" მწვრთნელის, ჯიჯი სიმონის თავსატეხი მთავარი ვარსკვლავის, როდრიგო ტადეის ფორმაა. ტადეიმ კლუბის ხელმძღვანელებთან საკონტრაქტო საკითხებზე იკამათა, მაგრამ კამათის მერე გუნდთან ძველებურად შერწყმას ველარ ახერხებს.

საინტერესოა „რომასა" და „პალერმოს" დაპირისპირება. რომაელები მართალია, ცხრილში უფრო ქვევით არიან და სამშაბათს ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გასვლის შანსიც დაკარგეს, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც უფრო იპყრობენ ყურადღებას, ვიდრე მასზე ზევით მდგომი გუნდების დიდი ნაწილი.

შეგახსენებთ, რომ „რომას" ახალი მწვრთნელი ჰყავს, ლუიჯი დელ ნერი, რომელიც 4-4-2 განლაგების სპეციალისტად ითვლებოდა, მაგრამ დედაქალაქში რომ ჩავიდა, იქაური ქუდი დაიხურა და თავდასხმაში ტოტის, კასანოს და მონტელას ტრიოს ათამაშებს. ბუნებრივია, ტრიოში ფუნქციები განაწილებულია — ტოტი უფრო უკანაა და ნახევარმცველებს ეხმარება, ხოლო კასანო და მონტელა მხოლოდ მოწინააღმდეგის კარზე ფიქრობენ.

რომაელთა კარში შესაძლოა ივან პელიცოლი დაბრუნდეს, თუმცა ნურც კარლო ძოტის დანახვა გაგიკვირდებათ.

„პალერმო" „რომაზე" ზევითაა და ყველა ღონეს იხმარს წინა ტურში ლეჩეში ნაწვნევი რომ გამოასწოროს. ლეჩეში სიცილიელების მთავარი პრობლემა სახიფათო მომენტების ქარისთვის გატარება გახლდათ, თუმცა უპრობლემოდ ვერც ხვალ შუალღისას იქნებიან, რადგან შესაძლოა ვერც კონტემ ითამაშოს, ვერც სანტანამ და ვერც ძაულიმ.

„პარმა" — „ლაციოზეც" ამ გუნდების სახელების გამო უფრო ვამახვილებთ ყურადღებას, ვიდრე ცხრილის გამო — პარმელები სრულიად სამარცხვინოდ ბოლოსწინა ადგილზე არიან, „ლაციო" კი მეათეზე გახლავთ, ზემოთ ნახსენები წყვილის, „რომასა" და „პალერმოს" შორის.

„პარმაში" დისკვალიფიცირებული არავინ არის, მაგრამ კარდონე, მაკარონე და ფერონეტი ან ითამაშებენ ან ვერა. „ლაციოში" დი კანიო, მუცი და როკი ითამაშებენ, მაგრამ ფილიპინი დაშავებულია. ისევ მკურნალობს მეკარე ანჯელო პერუცი და ამიტომ კარში, სავარაუდოდ, კვლავ მატეო სერენის ვიხილავთ.

ხოლო სახელების მიხედვით აბსოლუტურად ჩუმი და უღიმღამო „მესინა" — „ლეჩე" მეხუთე და მეოთხე ადგილებზე მყოფი გუნდების დუელია. თან ვნებათაღელვასაც უნდა ველოდოთ, რადგან ეს ორი სამხრეთული გუნდი სიცილიურ გარემოში ხვდება ერთმანეთს.

ალესანდრო დელ პიერო

„მესინამ" ამ სეზონში, „მილანის" და "რომას" დამარცხებით დიდი სასტარტო სენსაცია გამოიწვია, მაგრამ ზედაც „იუვენტუსს" ველარ გაუძლო და ჯერჯერობით პირველი და უკანასკნელი თამაში წააგო, რაც სხვათა შორის, მეორედან მეხუთეზე ჩავარდნად დაუჯდა. „ლეჩე" კი ერთ-ერთია იმ ხუთს შორის, რომელსაც ყოველ ტურში გოლი გააქვს. ალბათ, იმიტომ, რომ იქ ვალერი ბოჟინოვი თამაშობს.

VII ტური	
დღეს	
ატალანტა	კალიარი
სიენა	იუვენტუსი
ხვალ	
კიევო	რეჯინა
ლივორნო	ბოლონია
მესინა	ლეჩე
პარმა	ლაციო
რომა	პალერმო
სამპდორია	ბრეშა
უდინეზე	ფიორენტინა

საჯარიო ვითარება

იუვენტუსი	6	5	1	0	12:2	16
მილანი	6	4	1	1	11:6	13
კიევო	6	3	3	0	7:4	12
ლეჩე	6	3	2	1	14:8	11
მესინა	6	3	2	1	11:7	11
ინტერი	6	2	4	0	14:11	10
კალიარი	6	3	0	3	7:7	9
ბოლონია	6	3	0	3	7:7	9
სამპდორია	6	3	0	3	6:6	9
პალერმო	6	2	3	1	4:4	9
ლაციო	6	2	2	2	6:5	8
რომა	6	2	2	2	12:12	8
რეჯინა	6	1	3	2	4:6	6
ფიორენტინა	6	1	3	2	2:4	6
ბრეშა	6	2	0	4	7:13	6
უდინეზე	6	1	2	3	6:6	5
სიენა	6	1	2	3	3:8	5
ატალანტა	6	0	3	3	7:11	3
პარმა	6	0	3	3	4:11	3
ლივორნო	6	0	2	4	5:11	2

ინგლისი

გიო ახვლედიანი

ხვალ. 19.05. „ოლდ ტრეფორდი". მსაჯი: მაიკლ რაილი

მანჩესტერი VS არსენალი

ისევ იყრებიან ერთად ძველი მტრები: „მანჩესტერი" და „არსენალი". ამ ისტორიას ბოლო არა აქვს. შეგიძლია უცქირო და დატკბე, მაგრამ მას ბოლომდე ვერ გაიგებ, თუკი ამ ისტორიის წინა ისტორია არ იცი, იმ წინას კიდევ სხვა წინა ელოდება ზურგსუკან. ასე რომ, ეს ერთი დიდი ისტორიაა, რომელში წვდომასაც უბრალოდ ტელევიზორთან ჯდომა, ან თუნდაც „ოლდ ტრეფორდზე" მოხვედრა არ ეყოფა.





გონების თამაშები დიდებისთვის

ვენგერმა იცის, რომ რუნიმ იცის

დიახ, ოცნებათა თეატრი კვლავ მასპინძლობს დიდ მატჩს, შარშანდელი მასპინძლობა კი დღემდე კი არა, კიდევ კარგახანს იქნება სალაპარაკო. მაშინ რუუდ ვან ნისტელროიმ ცოტა არ იყოს, იყვინთავა და პატრიკ ვიეირას წითელი ბარათი აჰკიდა. მერე რუუდმა პენალტი გაარტყა ძელს, მარტინ კიოუნი, რეი პარლოუ და ეშლი კოული კი მას საცემრად მიესივნენ. თამაში უგოლოდ დასრულდა...

„მეთოფეებს" რომ ჰკითხო, მათ სწორედ ამ თამაშში დაამსხვრიეს თავიანთი გონების ფსიქოლოგიური სენი, რამაც მათ „მანჩესტერთან" ჭიდილში გამარჯვებულის იერი მიანიჭა.

„არსენალმა" შარშან ყველაფერში აჯობა „მანჩესტერს", გარდა პირადი შეხვედრებისა. მეორე წრის მატჩი „ჰაიბერიზე" 1:1 დასრულდა, „მანჩესტერმა" კი თასის ნახევარფინალიდან პოლ სქოულზის გოლით გამოაგდო „მეთოფენი". წინა „ოლდ ტრეფორდული", სკანდალური მატჩის შესახებ სერ ალექს ფერგიუსონი ამბობს: „ეს ყველაზე ცუდი რამ იყო, რაც მინდორზე უბურთოდ უქნიათ. თითქოს სახლში განგსტერი შევიდა, პატრონი მოკლა და წავიდა".

„ბარემ კედელთან მოგვაყენეთ და დაგვხვრიტეთ" — პასუხობს არსენ ვენგერი.

და საერთოდ, სიტყვიერი ომი ორ მწვრთნელს შორის ათი დღის დაწყებულია.

ვენგერმა ფერგიუსონს მიბაძა და წლეულს, თავადაც ჩაერთო ეგრეთ წოდებულ „გონების თამაშებში", რომლებითაც ეშმაკი სქოთი მოხუცი წლების განმავლობაში აგიჟებდა „არსენალის" ფეხბურთელებს.

ხვალინდელი თამაში მართლაც გამორჩეულია: თუ „არსენალი" მოიგებს, ის 14 ქულით გაუსწრებს „მანჩესტერს", რომელსაც 8 ტურია არ წაუგია, მაგრამ ეს არაფერია იმასთან, რაც „მეთოფეებს" არ წაუგიათ. მათ 49 ტურია არ წაუგიათ და „მრგვალ" შედეგზე მიდიან. თუ მასპინძლები მოიგებენ, ისინი არა მხოლოდ ამ ზღაპრულ სვლას დაუსვამენ წერტილს და ლიდერთან სხვაობას 8 ქულამდე დაიყვანენ, არამედ პირველი გუნდი შეიქნებიან, 1000 ქულა რომ მოუგროვებიათ პრემიერლიგაში.

შარშანდელი სკანდალური მატჩის გმირებიდან მინდორზე ბევრი იქნება, ოღონდაც მხოლოდ 20 პროცენტია ალბათობა იმისა, რომ წინა ტურში ფეხნატკენი კაპიტანი პატრიკ ვიეირა „არსენალის" გაძღოლას შეძლებს. „მანჩესტერს" კი ყველასთვის ცნობილი ახალი კაცი ჰყავს — უეინ რუნი, რომელიც სწორედ ამ დღეს შეიქნება 19 წლისა და ვინ იცის, გულში რა საჩუქარი განუზრახავს.

23:00	635	ჰაისანდუ-გოიასი	2.2	3.2	2.8	1.3	1.23	1.49
23:45	636	ჰალმეირასი-ატლეტიკო პრ	2.1	3.2	3.0	1.26	1.23	1.54
23:45	637	ბოტაფოგო-ვიტორია	1.7	3.4	4.0	1.13	1.19	1.83
		24 ოქტომბერი						
23:00	638	კრიციუმა-ფიგეირენსე	1.9	3.2	3.5	1.19	1.23	1.67
23:00	639	სან კეტანი-ფლუმინენსე	1.6	3.5	4.5	1.09	1.18	1.96
23:00	640	სან პაულუ-სანტოსი	2.2	3.2	2.8	1.3	1.23	1.49
23:00	641	ვასკუ და გამა-ფლამენგო	2.8	3.2	2.2	1.49	1.23	1.3
23:45	642	პარანა-კორინთიანსი	2.2	3.2	2.8	1.3	1.23	1.49
23:45	643	გუარანი-პონტე პრეტა	2.0	3.2	3.2	1.23	1.23	1.6
		ჰოკეი. შვედეთი						
		23 ოქტომბერი						
17:00	812	მოდო-ლინხიოპინგი	1.75	4.4	2.8	1.25	1.07	1.71
17:00	813	მორა-სიოლეტალიე	2.1	4.4	2.3	1.42	1.09	1.51
17:00	814	ფერიესტადი-ტიმრე	2.1	4.4	2.3	1.42	1.09	1.51
17:00	815	იურგორდენი-ბრიუნესი	1.5	4.4	4.0	1.11	1.09	2.09
17:00	816	მალმიო-ლულეო	2.3	4.4	2.1	1.51	1.09	1.42
		24 ოქტომბერი						
18:00	817	ფრიოლუნდა-ჰვ 71	1.52	4.4	3.5	1.12	1.05	1.94
		ჰოკეი. ფინეთი						
		23 ოქტომბერი						
17:00	832	პელიკანსი-ილვესი	2.5	4.4	2.0	1.59	1.11	1.37
17:00	833	ხეიპა-ჯერეტი	3.2	4.4	1.65	1.85	1.08	1.2
17:00	834	ესპოო-იუვასკულე	1.75	4.4	2.8	1.25	1.07	1.71
19:30	835	ესპოო-იუერიტი	2.5	4.4	2.0	1.59	1.11	1.37
16:00	836	ჰა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5037	ნორვეგია-ევერტონი	3,1	2,05	3,1	1,23	1,55	1,23
5038	ასტონ ვილა-ფულჰემი	2,2	2,1	4,8	1,07	1,5	1,46
5039	ჩელსი-ბლეკბერნი	1,45	2,8	8,0	1	1,22	2,07
5040	კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი	2,8	2,05	3,4	1,18	1,53	1,27
5041	ტოტენჰემი-ბოლტონი	2,35	2,05	4,4	1,09	1,53	1,39
5042	ლივერპული-ჩარლტონი	1,8	2,3	6,0	1	1,38	1,66
5043	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	2,8	2,05	3,4	1,18	1,53	1,27
5044	მიდლსბრო-პორტსმუთი	1,95	2,2	5,6	1,03	1,44	1,57
5045	ნიუკასლი-სიტი	1,95	2,2	5,6	1,03	1,44	1,57
5046	მანჩესტერი-არსენალი	2,9	2,05	3,3	1,2	1,54	1,26
5047	ატალანტა-კალიარი	2,6	2,0	3,8	1,13	1,54	1,31
5048	სიენა-იუვენტუსი	5,3	2,15	2,0	1,52	1,45	1,03
5049	კიევი-რეგინა	2,1	2,1	5,0	1,04	1,47	1,47
5050	ლივორნი-ბოლონია	3,0	1,95	3,4	1,18	1,59	1,23
5051	მესინა-ლეჩე	2,6	2,0	3,8	1,13	1,54	1,31
5052	პარმა-ლაციო	2,9	1,95	3,5	1,16	1,58	1,25
5053	რომა-პალერმო	2,05	2,1	5,3	1,03	1,47	1,5
5054	სამპდორია-ბრეშა	2,0	2,1	5,6	1,02	1,47	1,52
5055	უდინეზე-ფიორენტინა	2,35	2,0	4,6	1,08	1,55	1,39
5056	მილანი-ინტერი	2,9	1,95	3,5	1,16	1,58	1,25
5080	პანსა-ბაიერნი	4.6	2.1	5.2	1.44	1.48	[illegible]
5081	ვოლფსბურგი-ბოხუმი	2.1	2.1	5.2	1.04	1.49	1.49
5082	დორტმუნდი-პაბერგი	1.8	2.2	6.0	[illegible]	1.38	[illegible]
5083	მიონხენგლადბახი-ჰანოვერი	2.3	2.05	4.45	1.08	1.51	1.4
5084	არმინია-ბერტა	2.85	2.0	3.3	1.17	1.52	1.24
5085	კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი	3.3	2.05	2.8	1.26	1.51	1.18
5086	ვერდერი-ნიურნბერგი	1.7	2.3	6.5	1.0	1.34	1.69
5087	შალკე-მაინცი	1.9	2.15	5.6	1.0	1.41	1.55
5088	ფრაიბურგი-შტუტგარტი	4.1	2.05	2.4	1.25	1.51	1.1
5070	ალბასეტე-ბილბაო	2.8	2.0	3.4	1.16	1.53	1.25
5071	ბარსელონა-ოსასუნა	1.55	2.6	7.1	1.0	1.27	1.9
5072	ხეტაფე-ბეტისი	2.7	2.0	3.6	1.14	1.54	1.28
5073	ლევანტე-ესპანიოლი	2.55	2.0	3.5	1.12	1.47	1.27
5074	მალაგა-დეპორტივო	3.0	2.0	3.0	1.2	1.5	1.2
5075	რეალი-ვალენსია	2.4	2.0	4.1	1.09	1.51	1.34
5076	რასინგი-სარაგოსა	2.8	2.05	3.2	1.18	1.49	1.24
5077	სევილია-ატლეტიკო	2.5	2.0	3.5	1.11	1.45	1.27
5078	სოსიედადი-მალიორკა	2.2	2.1	4.6	1.07	1.48	1.44
5079	ვილიარეალი-ნუმანსია	1.95	2.15	5.0	1.02	1.4	1.5

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ფაფუნულად ჩაითვლება)

5437	ნორვეგია-ევერტონი	1,9	1,9
5438	ასტონ ვილა-ფულჰემი	1,6	2,4
5439	ჩელსი-ბლეკბერნი	1,2	4,0
5440	კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი	1,85	1,95
5441	ტოტენჰემი-ბოლტონი	1,7	2,2
5442	ლივერპული-ჩარლტონი	1,35	3,2
5443	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	1,85	1,95
5444	მიდლსბრო-პორტსმუთი	1,5	2,6
5445	ნიუკასლი-სიტი	1,5	2,6
5446	მანჩესტერი-არსენალი	1,85	1,95
5447	ატალანტა-კალიარი	1,8	2,0
5448	სიენა-იუვენტუსი	2,6	1,5
5449	კიევი-რეგინა	1,5	2,6
5450	ლივორნი-ბოლონია	1,85	1,95
5451	მესინა-ლეჩე	1,8	2,0
5452	პარმა-ლაციო	1,85	1,95
5453	რომა-პალერმო	1,5	2,6
5454	სამპდორია-ბრეშა	1,5	2,6
5455	უდინეზე-ფიორენტინა	1,7	2,2
5456	მილანი-ინტერი	1,8	2,0
5480	პანსა-ბაიერნი	2,3	1,65
5481	ვოლფსბურგი-ბოხუმი	1,7	2,2
5482	დორტმუნდი-პაბერგი	1,5	2,6
5483	მიონხენგლადბახი-ჰანოვერი	1,7	2,2
5484	არმინია-ბერტა	1,85	1,95
5485	კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი	1,95	1,85
5486	ვერდერი-ნიურნბერგი	1,3	3,0
5487	შალკე-მაინცი	1,5	2,6
5488	ფრაიბურგი-შტუტგარტი	2,1	1,75
5470	ალბასეტე-ბილბაო	1,85	1,95
5471	ბარსელონა-ოსასუნა	1,25	3,1
5472	ხეტაფე-ბეტისი	1,85	1,95
5473	ლევანტე-ესპანიოლი	1,85	1,95
5474	მალაგა-დეპორტივო	1,9	1,9
5475	რეალი-ვალენსია	1,65	2,3
5476	რასინგი-სარაგოსა	1,85	1,95
5477	სევილია-ატლეტიკო	1,7	2,2
5478	სოსიედადი-მალიორკა	1,7	2,2
5479	ვილიარეალი-ნუმანსია	1,6	2,4

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5137	ნორვეგია-ევერტონი	3,8	10,0	20,0	4,6	4,4	4,6	20,0	10,0	3,8
5138	ასტონ ვილა-ფულემი	2,5	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
5139	ჩელსი-ბლეკბერნი	1,5	15,0	40,0	3,5	6,0	17,0	22,0	17,0	17,0
5140	კრისტალ პალასი-ვ.ბრომვიჩი	3,5	10,0	20,0	4,6	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
5141	ტოტენჰემი-ბოლტონი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
5142	ლივერპული-ჩარლტონი	2,0	10,0	25,0	3,5	4,6	11,0	20,0	10,0	10,0
5143	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	3,5	10,0	20,0	4,6	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
5144	მიდლსბრო-პორტსმუთი	2,3	10,0	20,0	3,5	4,6	9,0	20,0	10,0	8,0
5145	ნიუკასლი-სიტი	2,2	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	9,0
5146	მანჩესტერი-არსენალი	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
5147	ატალანტა-კალიარი	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	6,6	20,0	10,0	5,3
5148	სიენა-იუვენტუსი	9,0	10,0	20,0	10,0	4,6	3,5	20,0	10,0	2,3
5149	კიევი-რეგინა	2,4	10,0	20,0	3,5	4,6	10,0	20,0	10,0	9,0
5150	ლიეორნო-ბოლონია	3,8	10,0	20,0	4,6	4,2	5,0	20,0	10,0	4,2
5151	მესინა-ლეჩე	3,2	10,0	20,0	4,2	4,4	6,5	20,0	10,0	5,3
5152	პარმა-ლაციო	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	5,3	20,0	10,0	4,6
5153	რომა-პალერმო	2,3	10,0	20,0	3,5	4,6	9,0	20,0	10,0	8,0
5154	სამპდორია-ბრეშა	2,3	10,0	20,0	3,5	4,6	9,0	20,0	10,0	9,0
5155	უდინეზე-ფიორენტინა	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	7,5	20,0	10,0	7,0
5156	მილანი-ინტერი	3,6	10,0	20,0	4,6	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
5180	პანსა-ბაიერნი	7.0	10.0	25.0	8.0	5.0	3.4	25.0	10.0	2.5
5181	ვოლფსბურგი-ბოხუმი	2.8	10.0	20.0	3.8	4.4	7.5	20.0	10.0	7.0
5182	დორტმუნდი-პაბერგი	2.2	12.0	25.0	3.5	5.0	10.0	20.0	10.0	9.0
5183	მიონხენგლადბახი-ჰანოვერი	2.8	10.0	20.0	3.8	4.4	7.5	20.0	10.0	7.0
5184	არმინია-ბერტა	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	5.3	20.0	10.0	4.6
5185	კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი	4.0	10.0	20.0	5.2	4.4	4.8	20.0	10.0	4.0
5186	ვერდერი-ნიურნბერგი	2.1	12.0	25.0	3.5	5.0	10.0	20.0	10.0	9.0
5187	შალკე-მაინცი	2.2	12.0	25.0	3.2	5.0	10.0	20.0	10.0	9.0
5188	ფრაიბურგი-შტუტგარტი	4.8	10.0	20.0	5.6	4.4	4.2	20.0	10.0	3.2
5170	ალბასეტე-ბილბაო	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	5.0	20.0	10.0	4.2
5171	ბარსელონა-ოსასუნა	1.65	15.0	35.0	3.5	7.0	14.0	25.0	12.0	12.0
5172	ხეტაფე-ბეტისი	3.4	10.0	20.0	4.6	4.4	5.0	20.0	10.0	4.2
5173	ლევანტე-ესპანიოლი	3.3	10.0	20.0	4.2	4.4	6.5	20.0	10.0	5.2
5174	მალაგა-დეპორტივო	3.7	10.0	20.0	4.6	4.4	4.6	20.0	10.0	3.7
5175	რეალი-ვალენსია	2.8	10.0	20.0	3.8	5.0	7.5	20.0	10.0	7.0
5176	რასინგი-სარაგოსა	3.6	10.0	20.0	4.6	4.4	5.0	20.0	10.0	4.2
5177	სევილია-ატლეტიკო	3.1	10.0	20.0	4.3	4.4	6.3	20.0	10.0	5.0
5178	სოსიედადი-მალიორკა	2.7	10.0	20.0	3.7	4.4	7.5	20.0	10.0	7.0
5179	ვილიარეალი-ნუმანსია	2.4	10.0	20.0	3.5	4.6	8.0	20.0	10.0	9.0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5537	ნორვეგია-ევერტონი	3,0	2,8	2,0
5538	ასტონ ვილა-ფულემი	3,0	2,8	2,0
5539	ჩელსი-ბლეკბერნი	3,0	2,8	2,0
5540	კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი	3,0	2,8	2,0
5541	ტოტენჰემი-ბოლტონი	3,0	2,8	2,0
5542	ლივერპული-ჩარლტონი	3,0	2,8	2,0
5543	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	3,0	2,8	2,0
5544	მიდლსბრო-პორტსმუთი	3,0	2,8	2,0
5545	ნიუკასლი-სიტი	3,0	2,8	2,0
5546	მანჩესტერი-არსენალი	3,0	2,8	2,0
5547	ატალანტა-კალიარი	3,0	2,8	2,0
5548	სიენა-იუვენტუსი	3,0	2,8	2,0
5549	კიევი-რეგინა	3,0	2,8	2,0
5550	ლივორნი-ბოლონია	3,0	2,8	2,0
5551	მესინა-ლეჩე	3,0	2,8	2,0
5552	პარმა-ლაციო	3,0	2,8	2,0
5553	რომა-პალერმო	3,0	2,8	2,0
5554	სამპდორია-ბრეშა	3,0	2,8	2,0
5555	უდინეზე-ფიორენტინა	3,0	2,8	2,0
5556	მილანი-ინტერი	3,0	2,8	2,0
5580	პანსა-ბაიერნი	3.0	2.8	2.0
5581	ვოლფსბურგი-ბოხუმი	3.0	2.8	2.0
5582	დორტმუნდი-პაბურგი	3.0	2.8	2.0
5583	მიონხენგლადბახი-ჰანოვერი	3.0	2.8	2.0
5584	არმინია-ბერტა	3.0	2.8	2.0
5585	კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი	3.0	2.8	2.0
5586	ვერდერი-ნიურნბერგი	3.0	2.8	2.0
5587	შალკე-მაინცი	3.0	2.8	2.0
5588	ფრაიბურგი-შტუტგარტი	3.0	2.8	2.0
5570	ალბასეტე-ბილბაო	3.0	2.8	2.0
5571	ბარსელონა-ოსასუნა	3.0	2.8	2.0
5572	ხეტაფე-ბეტისი	3.0	2.8	2.0
5573	ლევანტე-ესპანიოლი	3.0	2.8	2.0
5574	მალაგა-დეპორტივო	3.0	2.8	2.0
5575	რეალი-ვალენსია	3.0	2.8	2.0
5576	რასინგი-სარაგოსა	3.0	2.8	2.0
5577	სევილია-ატლეტიკო	3.0	2.8	2.0
5578	სოსიედადი-მალიორკა	3.0	2.8	2.0
5579	ვილიარეალი-ნუმანსია	3.0	2.8	2.0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5337	ნორვეგია-ევერტონი	1,7	1,9
5338	ასტონ ვილა-ფულემი	1,7	1,9
5339	ჩელსი-ბლეკბერნი	1,8	1,8
5340	კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი	1,7	1,9
5341	ტოტენჰემი-ბოლტონი	1,7	1,9
5342	ლივერპული-ჩარლტონი	1,75	1,85
5343	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	1,7	1,9
5344	მიდლსბრო-პორტსმუთი	1,75	1,85
5345	ნიუკასლი-სიტი	1,75	1,85
5346	მანჩესტერი-არსენალი	1,7	1,9
5347	ატალანტა-კალიარი	1,65	1,95
5348	სიენა-იუვენტუსი	1,75	1,85
5349	კიევი-რეგინა	1,7	1,9
5350	ლივორნი-ბოლონია	1,7	1,9
5351	მესინა-ლეჩე	1,6	2,0
5352	პარმა-ლაციო	1,65	1,95
5353	რომა-პალერმო	1,65	1,95
5354	სამპდორია-ბრეშა	1,7	1,9
5355	უდინეზე-ფიორენტინა	1,7	1,9
5356	მილანი-ინტერი	1,6	2,0
5380	პანსა-ბაიერნი	1.6	2.0
5381	ვოლფსბურგი-ბოხუმი	1.6	2.0
5382	დორტმუნდი-პაბურგი	1.6	2.0
5383	მიონხენგლადბახი-ჰანოვერი	1.6	2.0
5384	არმინია-ბერტა	1.65	1.95
5385	კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი	1.6	2.0
5386	ვერდერი-ნიურნბერგი	1.65	1.95
5387	შალკე-მაინცი	1.6	2.0
5388	ფრაიბურგი-შტუტგარტი	1.65	1.95
5370	ალბასეტე-ბილბაო	1.65	1.95
5371	ბარსელონა-ოსასუნა	1.7	1.9
5372	ხეტაფე-ბეტისი	1.65	1.95
5373	ლევანტე-ესპანიოლი	1.7	1.9
5374	მალაგა-დეპორტივო	1.7	1.9
5375	რეალი-ვალენსია	1.6	2.0
5376	რასინგი-სარაგოსა	1.65	1.95
5377	სევილია-ატლეტიკო	1.65	1.95
5378	სოსიედადი-მალიორკა	1.65	1.95
5379	ვილიარეალი-ნუმანსია	1.7	1.9

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5237	ნორვეგია-ევერტონი	1,7	1,9
5238	ასტონ ვილა-ფულემი	1,75	1,85
5239	ჩელსი-ბლეკბერნი	1,9	1,7
5240	კრისტალ პალასი-ვესტ ბრომვიჩი	1,7	1,9
5241	ტოტენჰემი-ბოლტონი	1,7	1,9
5242	ლივერპული-ჩარლტონი	1,8	1,8
5243	საუთჰემპტონი-ბირმინგემი	1,7	1,9
5244	მიდლსბრო-პორტსმუთი	1,8	1,8
5245	ნიუკასლი-სიტი	1,85	1,75
5246	მანჩესტერი-არსენალი	1,7	1,9
5247	ატალანტა-კალიარი	1,7	1,9
5248	სიენა-იუვენტუსი	1,7	1,9
5249	კიევი-რეგინა	1,7	1,9
5250	ლივორნი-ბოლონია	1,7	1,9
5251	მესინა-ლეჩე	1,9	1,7
5252	პარმა-ლაციო	1,75	1,85
5253	რომა-პალერმო	1,85	1,75
5254	სამპდორია-ბრეშა	1,75	1,85
5255	უდინეზე-ფიორენტინა	1,7	1,9
5256	მილანი-ინტერი	1,9	1,7
5280	პანსა-ბაიერნი	1.95	1.65
5281	ვოლფსბურგი-ბოხუმი	2.0	1.6
5282	დორტმუნდი-პაბურგი	2.0	1.6
5283	მიონხენგლადბახი-ჰანოვერი	2.0	1.6
5284	არმინია-ბერტა	1.9	1.8
5285	კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი	2.0	1.6
5286	ვერდერი-ნიურნბერგი	2.3	1.5
5287	შალკე-მაინცი	2.0	1.6
5288	ფრაიბურგი-შტუტგარტი	1.85	1.75
5270	ალბასეტე-ბილბაო	1.7	1.9
5271	ბარსელონა-ოსასუნა	1.95	1.65
5272	ხეტაფე-ბეტისი	1.7	1.9
5273	ლევანტე-ესპანიოლი	1.7	1.9
5274	მალაგა-დეპორტივო	1.65	1.95
5275	რეალი-ვალენსია	1.8	1.8
5276	რასინგი-სარაგოსა	1.7	1.9
5277	სევილია-ატლეტიკო	1.7	1.9
5278	სოსიედადი-მალიორკა	1.75	1.85
5279	ვილიარეალი-ნუმანსია	1.7	1.9

ნახევარცქიტიშვილი

ფაჩულიას მომქნევი მოედნიდან მოიქნიეს

ერთვნული ბიბლიოთეკა

ნიკა ცქიტიშვილმა პირველ საგამოფენო მატჩში ტრავმა გაიმიზეზა

ისე დაემთხვა, რომ გუშინწინ სამივე ქართველის გუნდმა ითამაშა საგამოფენო მატჩი. რომ არა ზაზა ფაჩულიას „მილუოკის“ მარცხი მემფისში, სამივე ჩვენიანის გუნდი იმარჯვებდა, თუმც ამაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის უფროა, თუ რა ქნეს ქართველებმა.

აქედანვე გეტყვით, რომ კვლავ უსაქმოდაა პორტლენდელი, ვლადიმერ სტეფანია, რომელმაც ვერაფრით მოირჩინა მუხლი და ცხადია, არც ტორონტოში უთამაშია. „პორტლენდმა“ კი იოლად დაჯაბნა ვინს კარტერი და დანარჩენი „დინოზავრები“.

სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა და თან ბოლომდეც ვერ გამოჯანმრთელდა ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ვინც სეზონში თავისი პირველი საგამოფენო მატჩი ითამაშა და ნამატჩევს კვლავ ტრავმას უჩიოდა.

„კმაყოფილი ვერაფრით ვიქნები, რადგან მეორე ტაიმში ბევრი ტკივილი განვიცადე. ტრავმამ თავი შეგახსენა და თამაშში ხელს მიშლიდა“ — განაცხადა „ცქიტომ“. ყოველივე ამის შემდეგ „დენვერის“ მწვრთნელმა ჯიმ გილენმა არ იცის, ითამაშებს თუ არა ცქიტიშვილი ამაღამ „გოლდენ სტეიტის“ წინააღმდეგ.

„დენვერის“ მეტოქე გახლდათ „ლოს ანჯელეს კლიპერსი“. და კოლორადელებმა ისე იოლად მოუგეს, შანსი არ მიუციათ. ცქიტიშვილმა 13 წუთში 4 ქულის და ერთადერთი მოხსნის მოგროვება მოახერხა. დენვერელთა მწვრთნელი ჯეფ ბზელიკი, როგორც ჩანს, კმაყოფილი არ დარჩა ქართველის თამაშით, რაკი, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, ცქიტიშვილზე თქვა, დაჟანგული იყოო.

ჩვეულად ვერ ითამაშა ზაზა ფაჩულიამაც, რომლის ფეხის დაცდენასაც უკვე უჩვეულო ამბად აღიქვამენ მილუოკელი ჟურნალისტები. „ბაქსი“ „მემფისს“ ესტუმრა და გვარიანად შერცხვა, 19 წუთში ფაჩულიას 4 ქულა და 5 მოხსნა კი პრესამ იცოტავა.

რითაც ფაჩულია გამოირჩა, მოთმინებაა. ზაზას კამათი მოუვიდა მემფისელ ცენტრ ლორენცენ რაიტთან და მის სპორტულ თავდაჭერილობაზე მუთითებს ის, რომ მოშულარმა რაიტმა ჩხუბში ვერ ჩაითრია ქართველი. რაიტს ხელი მოუქნევია ფაჩულიასთვის და ამისთვის გააგდეს კიდეც, ქართველს კი საპასუხოდ ხელების ქნევა არ დაუწყია და მოედანზეც შეინარჩუნა ადგილი. რაიტმა თამაშის შემდეგ განაცხადა, ფაჩულიას ხელი კი მოვუქნიე, მაგრამ არ მოხვედრია, თორემ ფეხზე როგორ იდგებოდაო.

ჩვეულებრივი ბაქიაობაა.

ირაკლი პერტაია



განტევების შაკი?

კობი ბრაიანტმა ლეიკერსი დაშალა

ამ ზაფხულს ნბა-ში განხორციელებული ხმაურიანი ტრანსფერის ირგვლივ ჯერაც იხლართება ინტრიგები ზონზრუნა შაკილ ონილი „ლეიკერსიდან“ „მიამიში“ რომ გადავიდა, ხალხმა ყველაფერი „ქვეშ-ქვეშა“ კობი ბრაიანტს დაბრალა. კობისვე ბრალია ფილ ჯეკსონის კალათბურთიდან წასვლაც, დაიჟინა გულშემატკივარმა. მას შემდეგ რამდენიმე თვე გადაგორდა, მაგრამ ამ თემაზე ჭორმართალი ნათქვამების ახალ-ახალი ტალღები გორდება და „ჰუპსის“ ჟურნალისტმა მიკელ ივესმა „ლეიკერსის“ გენერალური მენეჯერი მიჩ კუპჩაკი რომ მოიხელთა, ძირითადად კობი — შაკის ფარულ შულზე ელაპარაკა...

— თქვენ ჩემზე კარგად გეცოდინებათ, რომ შაკილ ონილისა და ფილ ჯეკსონის „ლეიკერსიდან“ წასვლას ხალხი კობი ბრაიანტს აბრალებს. მიუხედავად იმისა, რომ გუნდის მფლობელმა ჯერი ბასმა ეს აზრი უარყო, გულშემატკივარი მაინც აღშფოთებულია...

— ვფიქრობ, ეს გაღიზიანება ხალხს მალე გადაუვლის. მე ვერ ვხედავ რეალურ საბაბს იმისა, რომ გულშემატკივარმა ობსტრუქცია მოგვიწყოს. ხალხს უყვარს ჭორაობა, მით უმეტეს, როცა ამის მიზეზი არსებობს. ყველამ კარგად იცოდა, რომ შაკი და კობი გადაბმული ძმაკაცები არ ყოფილან, იყო მათ შორის რაღაც-რაღაცა გაუგებრობები და ამიტომაც დაიწყეს ინტრიგების ქექვა. შაკის გაშვება იყო სრულიად დამოუკიდებელი გადაწყვეტილება და მასთან არანაირი კავშირი არა აქვს იმას, თუ რას ფიქრობდა კობი ბრაიანტი. გადაწყვეტილების მიღება ძალიან ძნელი იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. ჩვენ შაკთან ვერ მოვახერხეთ ახალი კონტრაქტის პირობებზე შეთანხმება. ისე კი, შაკის წასვლა ერთი თვით ადრე გადავწყვიტეთ, სანამ ამას საზოგადოება გაიგებდა.

— ნება მიბოძეთ, შაკილის სიტყვები მოვიყვანო: „ბიჭებს, რომლებიც კლუბის სათავეში სხედან, განტევების ვაცის პოვნა სურთ და მე საკმაოდ ძლიერი აღმოვჩნდი საიმისოდ, რომ ეს მისია ჩემთვის დაეკისრებინათ.“ შაკი „ბიჭებში“, ცხადია, თქვენ და ბასს გგულისხმობდათ. რას იტყვით, ვინ იყო განტევების ვაცი?

— არავინ. შაკილის ლოს ანჯელესში ყოფნა ლამაზი ზღაპარი იყო ყველა აქაურისთვის. მან იმდენი გააკეთა „ლეიკერსისთვის“, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ონილისთვის მადლობის გადახდას. თუმც ყველაფრის მიუხედავად, ის უნდა წასულიყო, რაც ძალიან ძნელი გასაგებია უბრალო გულშემატკივრისთვის. ასეთი დიდი მოთამაშე რომ ტოვებს გუნდს, ხალხმა გულისწყრომა ვინმესკენ უნდა მიმართოს. ეს ყოველთვის ასეა.

— ბოლო ხუთი წლის განმავლობაში „ლეიკერსის“ მიზანი ერთი იყო: ჩემპიონობა. ახლა რას უმიზნებთ?

— კარგი გუნდის აშენებას ვუმიზნებთ, რის იმედსაც ყოჩაღი ახალწვეულები და გამოცდილი სამწვრთნელო შტაბი გვაძლევს.

— პლეი ოფში თუ ვერ გახვედით, ძალიან განიცდით?

— ვფიქრობ, იმის ძალა შეგვწევს, რომ პლეი ოფში გავიდეთ. ვიმედოვნებ, კარლ მელოუნი ისევ მხნედ იქნება და მისი გამოცდილება გუნდს დიდად დაეხმარება.

მარიხუანა მწვანილი არაა, ჩანთაში რომ დაგრჩეს

კარმელო ენტონის მეგობარი გადაეფარა

გუშინწინ დენვერში მავანი ჯეიმს კანინგემი ჩაფრინდა ადვოკატიტურთ და ქალაქის პროკურორს განუცხადა, კარმელო ენტონის ჩანთაში მარიხუანა რომ უპოვეს, ჩემი იყოო.

მანამდე კი, სამი დღით ადრე, „დენვერ ნაგიტსის“ ვარსკვლავიჭუნას დიახაც, მარიხუანა უპოვეს ჩანთაში, როცა ის გუნდთან ერთად მილუოკიში სათამაშოდ მიფრინავდა. ნბა-ს სახელიანი მოთამაშე მაშინვე არ გაუბაწრავთ, თუმც ახსნა-განმარტება მოსთხოვეს: „მე არ ვიცი, საიდან მოხვდა ეს ნივთიერება ჩემს ჩანთაში. ეს ფაქტი ჩირქს სცხებს ჩემს ოჯახს, ფანებსა და კლუბს. მე ბევრი არასრულწლოვანი გულშემატკივარი მყავს და ეს ძალიან ცუდი მაგალითია მათთვის, მაგრამ ყველაზე სამწუხაროდ ისაა, რომ არ ვიცი, საიდან გაჩნდა მარიხუანა ჩემს ჩანთაში.“

ახლა კი გამოჩნდა მავანი კანინგემი, რომელიც თავს კარმელოს მეგობრად ასაღებს და ისე ხსნის მომხდარს, ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს. მოკლედ, ასეა: კანინგემი დენვერში ჩავიდა და საქმიან შეხვედრაზე მოსახერხებელი ჩანთით უნდოდა წასვლა, თავისი ვეება სამგზავრო ჩემოდანი კი სად წაელო, არ იცოდა. ამ დროს გაახსენდა, რომ დენვერში მას ჰ ყავდა მეგობარი კარმელო ენტონი, რომელთანაც ისე ახლოს იყო, რომ როცა მიაკითხა და შინ არ დაუხვდა, უპრობლემოდ შეავიდა სახლში და ენტონის ნაირგვარი ჩანთებიდან ერთ-ერთი ამოარჩია. კანინგემმა საქმე მოილია, ენტონის სახლში დაბრუნდა, ჩანთა თავის ადგილზე დადო და მშობლიურ სენტ ლუისში გაფრინდა. მაგრამ ჩანთის გარე ჯიბეში მას მარიხუანა დარჩა, რომელიც მოგვიანებით დენვერის აეროპორტში უპოვეს კარმელო ენტონის. ხომ მაგარი სარწმუნო ისტორიაა, ჯერ სადა ხართ...

„აბა, რა ვიცოდი, თუ კარმელო მანამ იხმარდა იმ ჩანთას, სანამ მე მას ვნახავდი. იქ კიდევ ბლომად ჩანთები იყო და ენტონიმ მაინცდამაინც ის მარიხუანიანი ამოარჩია“ — უტიფრად აცხადებს კანინგემი.

კანინგემი თურმე ადრეც შესულა ენტონის სახლში, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი შინ არ იყო და ახლა აცხადებს, შემიძლია, დავამტკიცო, რომ იმ დღეს დენვერში ვიყავიო. „კარმელოს სახლის დამცავმა მოწყობილობამ დააფიქსირა, რომ მე იქ შევედი. შეგიძლიათ, შეამოწმოთ და ჩემი სიტყვების უტყუარობაში დარწმუნდეთ“ — ეუბნება კანინგემი სამართალდამცავებს.

გამოჩხრიკეს და... კანინგემს ენტონი წელიწადნახევარია, იცნობს. მან იგი რომელიღაც საქველმოქმედო მატჩზე გაიცნო. კანინგემი ორგანიზატორთა შორის ყოფილა. ამ ხნის განმავლობაში ენტონი და კანინგემი ისე დაძმობილდნენ, რომ ერთიმეორეს სახლებში გაუფრთხილებლად დადიან, რაც, ცოტა არ იყოს, საეჭვოა, უფრო კი, დამაფიქრებელი. ცნობისთვის: ეს კანინგემი 28 წლისაა, ენტონიზე 7 წლით უფროსი.

მერე კანინგემმა თქვა, რაც მარიხუანა უპოვეს, ენტონი არ მინახავსო. მან იცის, რომ „დენვერის“ ვარსკვლავი ძალიან განაწყენებული იქნება და ეშინია კიდეც. „ენტონი გაცეცხლებული იქნება, ასეთ შარში რომ გავხვევ. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, ეს როგორ მომივიდა“ — ჯავრობს კანინგემი.

ვნახოთ, თუ ჭამს ამას სასამართლო.

ირაკლი პერტაია



კარმელო ენტონი

ᲥᲐᲚᲘ-ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ

ᲔᲚᲔᲜᲐ ᲘᲡᲘᲜᲑᲐᲔᲕᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲮᲣᲗᲛᲔᲢᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲮᲢᲔᲑᲐ

მძლეოსნობის სახეობებიდან ათენში გამორჩეული სანახავი ქალთა შორის ჭოჯით ხტომა გამოდგა, სადაც პირმშვენიერმა რუსმა ელენა ისინბაევამ ჯერ იჩემპიონა, ხოლო შემდეგ ტრიბუნების მხარდაჭერით უზომოდ გახარებულმა ახალი მსოფლიო რეკორდიც გამოაცხო. ახლახან ლენა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ წლის საუკეთესო მძლეოსნად დაასახელა, პრიზი კი მას თავად მონაკოს პრინცმა ალბერმა გადასცა. ერთ სეზონში რვა მსოფლიო რეკორდის დამამყარებელ გოგოს ერთ-ერთი რუსული სააგენტო გაესაუბრა და ჩვენ ამ ინტერვიუს ცოტათი შემოკლებულ ვარიანტს გთავაზობთ

— ბუბკას თუ იცნობ?

— დიახ და მისადმი უდიდესი პატივისცემითაც ვარ განწყობილი.

— მართალია თუ არა, რომ სპორტში პირველივე ნაბიჯებისას მწვრთნელს სერგეი ბუბკასათვის შეუდარებიხარ, შენ კი გიკითხავს: ეგ ვინ არისო?

— სრული სიმართლეა.

— პირველი წლევანდელი მსოფლიოს რეკორდი მის მშობლიურ უკრაინაში დაამყარე. რა გითხრა?

— გამამხნევა და ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. სერგეი ხომ ყველა ჭოკით მხტომელის ორიენტირია. მისმა სიტყვებმა, რაღაცნაირად, ფრთები შემასხა და იმ დღეს მსოფლიო რეკორდი ორჯერ გავაუმჯობესე.

— ძნელია ოლიმპიური ჩემპიონობა?

— არა.

— არის რაიმე განსხვავება მსოფლიოს ჩემპიონობას, რეკორდსმენობასა და ოლიმპიურ ჩემპიონობას შორის?

— მარტო სახელებში. ფსიქოლოგიურად კი თითქმის ყველას ერთნაირად აღვიქვამ. უბრალოდ, ოლიმპიადის შემდეგ ისეთი თავდაჯერებული გავხდი, თითქოს ფრთები შემესხა.

— ათენის რეკორდის გაუმჯობესებაც ამ თავდაჯერებულობის შედეგია?

— აბსოლუტურად. დარწმუნებული ვიყავი, რომ უფრო მაღალ თამასაზე გადახტომა შემეძლო.

— ოლიმპიური ტრიუმფი რაღას ეფუძნებოდა?

— პირველ რიგში ემოციებს. მაყურებელი ძალიან დამეხმარა და იმ წუთში, ჩემპიონი რომ გავხდი, მინდოდა ტრიბუნებზე მსხდომთათვის ცალ-ცალკე მეთქვა მადლობა. ეს შეუძლებელი იყო და მადლიერება მათთვის მსოფლიო რეკორდის ჩუქებით გადავწყვიტე. საერთოდ, ყველა რეკორდი მაყურებლისგან წამოსული ემოციების დახმარებით დამიმყარებია.

— დიდი ტურნირებისას შიშის ფაქტორი თუ გქონია?

— რა თქმა უნდა. იგივე ოლიმპიადის დროს, როდესაც ერთ-ერთ სიმაღლეზე ორი ცდა გამიფუჭდა და შეიძლებოდა, ერთ მცირე შეცდომასაც დაველუპე. ეს კი ჩემთვის უდიდესი ტრაგედია იქნებოდა. კონკურენციისთვის ყოველთვის მზად ვარ და ამ მხრივ არანაირი შიშები არ მაწუხებს. მთავარია საკუთარ თავს ვაჯობო. ამ შემთხვევაში წინ ვერავინ დამიდგება.

— კონკურენტების გამოსვლის ყურება თუ გიყვარს?

— არასოდეს არ ვუყურებ. შვიდი წელია ამ საქმით ვარ დაკავებული და ერთხელაც არ შემიხედავს, ვინ როგორ ხტება. წარმატებით გადახტნენ თუ არა, ძირითადად ტრიბუნების რეაქციით ვგებულობ.

— შენი უმთავრესი კონკურენტი თანამემამულე სვეტლანა ფეოფანოვაა. მასთან ერთად ერთ ნომერში თუ იცხოვრებდი?

— ეს წარმოუდგენელია.

— ტურნირებისგან თავისუფალ დროსაც არ წახვიდოდი მასთან ერთად დასასვენებლად?

— არავითარ შემთხვევაში. ჩვენს შორის ბრძოლა არასოდეს წყდება, არც სტადიონზე და არც მის გარეთ. თუმც მე მას პატივს ვცემ. ალბათ ისიც ასევეა. უბრალოდ მეგობრობა არ შეგვიძლია, თორემ ათენში მეორე ადგილი რომ დაიკავა, გულწრფელად მივულოცე.

— ჭოკით ხტომა ტექნიკური სახეობაა, ერთი კომპლექტი ალბათ არ იკმარებს. რამდენი ჭოკი დააქვს თან ელენა ისინბაევას?

— ექვსი. ექვსივეს თავისი სახელი აქვს. სავარჯიშო, გასახურებელი, საშეჯიბრო და თქვენ წარმოიდგინეთ, სარეკორდო. რაც უფრო მაღლა სწევ ნიშნულს, მით მეტი ადრენალინი გამოიყოფა და ჭოკიც მსუბუქდება.

— ერთი და იმავე ჭოკით არ შეიძლება საქმის დაწყება და მომთავრება?

— ხანდახან ესეც შეიძლება. ყველაფერი ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებაზეა დამოკიდებული.

— ჭოკით ხტომა ისეთი სახეობაა, შეიძლება ფსიქოლოგიური და ფიზიკური მომზადებაც არ გეყოს და საქმეში სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები ჩაერიოს. მაგალითად ამინდი, მონაწილეთა დიდი რაოდენობა და ასე შემდეგ...

— როდესაც კარგად ვარ მომზადებული, მაშინ სულ ერთია, ვის ვხვდები და როგორი ამინდია. ქარი მარტო ჩემთვის ხომ არ ქრის? არც იმას ვაქცევ ყურადღებას, ზოგჯერ პირველ ცდამდე ორი საათით ლოდინი რომ მიწევს. თუ სპორსტმენს რამეს მიღწევა სურს, ყველაფერს უნდა შეეჩვიოს და ყველანაირი უკმაყოფილება დაივიწყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კარგი შედეგის შანსი მინიმალური ხდება.

— როგორ დახარჯავ გამარჯვებისთვის მიღებულ თანხას?

— ვიყიდი საკუთარ ბინას და მანქანას. წილს რა თქმა უნდა, პირად მწვრთნელსა და აგენტსაც მივცემ.

— ვიცით, რომ სისწრაფე გიყვარს და მერსედეს SLK-ზე ოცნებობ...

— მართალია. ამ მანქანაზე ვიჯექი კიდეც საჭესთან და 200 კილომეტრსაც გადავაჭარბე.

— ხტომას კიდევ რამდენ ხანს აპირებ?

— შორეულ პერსპექტივაზე საუბარი არ მინდა.

— პეკინის ოლიმპიადაზე წახვალ?

— თუ ღმერთმა ინება...

— არ გეშინია, ერთხელაც გრძელმა თმამ გადახტომაში ხელი შეგიშალოს?

— ეს არასოდეს დამმართნია და გამორიცხულია როდესმე დამემართოს.

— ყველა ელოდება ქალებისგან ხუთმეტრიანი ბარიერის დაძლევას. მგონი, ვარჯიშებზე ეს გაგიკეთებია. როდის გაიმეორებ ოფიციალურ შეჯიბრებებზე?

— ვარჯიშებზე ხუთ მეტრზეც გადავმხტარვარ და ცოტა მეტზეც. ტურნირებზე კი ალბათ მომავალ სეზონში მოვახერხებ იგივეს. ჩემი აზრით უახლოეს წლებში ქალთა ჭოკით ხტომის მაჩვენებელი 5,10 მეტრს მიაღწევს.

— დიდ ტურნირებზე, შედეგის მისაღწევად ღიმილი ჯობია თუ სერიოზულობა?

— შეჯიბრის დროს მთავარია შინაგანად იყო მშვიდი და გაწონასწორებული. წინასწარ ჩაფიქრებული არასოდეს მქონია, უნდა გამეღიმა თუ არა. ემოციებზე თამაშს ვერაფერში გამოვიყენებ. პირიქით, ხელს შემიშლის. როდესაც ოლიმპიური ოქრო მოვიგე, მსოფლიო რეკორდის დასამყარებლად გახარებული სახით გავემართე. ეს ბუნებრივი ღიმილი იყო და ძალიანაც რომ მომენდომებინა, ვერ დავსერიოზულდებოდი. ყველაფერი თავისთავად ხდება და ხელი არ უნდა შეუშალო.

ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ ᲠᲕᲔᲣᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ
 მადრიდი
ხელოვნური ბალახი
საპრიზო 2,425 მილიონი €

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲠᲔ

ᲘᲕᲐᲜ ᲚᲘᲣᲑᲘᲩᲘᲩᲘ (ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ) — ᲢᲘᲛ ᲰᲔᲜᲛᲐᲜᲘ (1, ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ) 6:4, 4:6, 6:2; ᲐᲜᲓᲠᲔ ᲐᲒᲐᲡᲘ (2, ᲐᲨᲨ) — ᲕᲘᲜᲡ ᲡᲞᲔᲓᲘᲐ (ᲐᲨᲨ) 6:1, 6:3; ᲛᲐᲠᲐᲢ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ (3, ᲠᲣᲡᲔᲗᲘ) — ᲨᲢᲔᲤᲐᲜ ᲙᲣᲑᲔᲙᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ) 6:3, 6:3; ᲓᲐᲕᲘᲓ ᲜᲐᲚᲑᲐᲜᲓᲘᲐᲜᲘ (4, ᲐᲠ�გᲔᲜᲢᲘᲜᲐ) — ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲠᲜ ᲨᲠᲘᲩᲐᲤᲐᲜᲘ (16, ᲢᲐᲘᲚᲐᲜᲓᲘ) 6:3, 6:1; ᲘᲝᲐᲮᲘᲛ ᲘᲝᲰᲐᲜᲡᲝᲜᲘ (7, ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ) — ᲐᲜᲢᲝᲜᲘ ᲓᲘᲣᲞᲣᲐ (ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ) 6:1, 7:6 (8:6); ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲑᲠᲔᲓᲝ (8, ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) — ᲤᲔᲠᲜᲐᲜᲓᲝ ᲕᲔᲠᲓᲐᲡᲙᲝ (ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ) 2:6, 6:4, 6:3; ᲚᲣᲘᲡ ᲝᲠᲜᲐ (ᲰᲔᲠᲣ) — ᲐᲜᲓᲠᲔᲘ ᲰᲐᲕᲔᲚᲘ (9, ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ) 7:5, 6:4; ᲢᲐᲘᲚᲝᲠ ᲓᲔᲜᲢᲘ (ᲐᲐᲨᲨ) — ᲢᲝᲛᲘ ᲰᲐᲐᲡᲘ (�გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ) 7:6 (7:3), 6:2

ტურნირის მთავარგანთესილმა ტიმ ჰენმანმა მძლავრად მომწოდებელი ივან ლიუბიჩიჩის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო, სანაცვლოდ მისმოდევნოდ განთესილებმა გაილაღეს და მეოთხედფინალში უპრობლემოდ გავიდნენ.

ანდრე აგასიმ საათზე ნაკლები დრო მოანდომა თვისტომ სპედიას ძლევას. ამ უკანასკნელმა წინა დღეს სამსეტიანი განდაგანა გადაიტანა ღონიერ ესპანელ მუჩაჩო რაფაელ ნადალთან და აშკარად ჩანდა, აგასისთან შეხვედრამდე ძალების აღდგენა რომ ვერ მოასწრო.

ასევე მსუბუქი კეჭნაობები გადახდათ მარატ საფინსა და დავიდ ნალბანდიანსაც. ხოლო მეოთხედფინალში მოხვედრილი ერთადერთი მასპინძლის ვინაობა ტომი რობრედოსა და ფერნანდო ვერდასკოს სამსეტიან ჰაექრობაში გაირკვა — ანგარიშებშივე წაიკითხავდით, რომ ესპანელთა ღირსებას მადრიდობის ბოლო რვეულში მერვე ნომრად განთესილი რობრედო დაიცავს.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ტომი რობრედო

REUTERS მადრიდიდან

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲘ
ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘ. XV ᲢᲣᲠᲘ
ᲑᲐᲠᲜᲚᲘ 0:2 ᲓᲔᲠᲑᲘ ᲫᲐᲣᲜᲗᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ
I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XI ᲢᲣᲠᲘ
ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ (Ლ) 2:2 ᲑᲠᲐᲢᲙᲝᲠᲜᲘ
ᲙᲘᲠᲜᲢᲔᲜᲘ 4:2 ᲣᲜᲢᲔᲠᲖᲘᲑᲔᲜᲑᲠᲘᲣᲜᲘ
ᲚᲘᲜᲪᲔᲠᲘ 0:0 ᲙᲐᲠᲤᲔᲜᲑᲔᲠᲒᲘ
ᲚᲔᲝᲜᲑᲔᲜᲘ 2:1 ᲠᲘᲓᲘ
ᲕᲘᲝᲠᲒᲚᲘ 0:1 ᲐᲚᲢᲐᲮᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ
II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XIII ᲢᲣᲠᲘ
ᲐᲜᲪᲘ 3:0 ᲠᲔᲘᲛᲡᲘ
ᲨᲐᲢᲝᲠᲣ 1:1 ᲑᲠᲔᲜᲝᲑᲚᲘ
ᲓᲘᲟᲝᲜᲘ 0:0 ᲒᲔᲜᲘᲝᲜᲘ
ᲚᲐᲕᲐᲚᲘ 1:0 ᲜᲘᲝᲠᲘ
ᲚᲝᲠᲘᲐᲜᲘ 3:1 ᲙᲠᲔᲢᲔᲘ
ᲢᲠᲣᲐ 2:0 ᲚᲔ ᲛᲐᲜᲘ
ᲜᲐᲜᲡᲘ 2:1 ᲙᲚᲔᲠᲛᲝᲜᲘ
ᲛᲝᲜᲰᲔᲚᲘᲔ 3:0 ᲚᲔ ᲐᲕᲠᲘ

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ
ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ
XXXII ᲢᲣᲠᲘ
ᲨᲔᲛᲠᲝᲙᲘ 1:2 ᲓᲠᲝᲰᲔᲓᲐ
ᲑᲝᲰᲔᲛᲘᲐᲜᲘᲡᲘ 0:1 ᲓᲔᲠᲘ ᲡᲘᲢᲘ
ᲙᲝᲠᲙ ᲡᲘᲢᲘ 3:0 ᲡᲔᲜᲢ ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲘᲡᲘ

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ
ᲗᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐᲞᲘ
ᲙᲠᲘᲜᲘ 3:3დ.დ.(პენ.3:4, 2:2) *ᲘᲣᲕᲔᲜᲢᲣᲡᲘ*

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ
II ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ. X ᲢᲣᲠᲘ
ᲛᲘᲣᲜᲰᲔᲜᲘ 1:1 ᲙᲐᲠᲚᲡᲠᲣᲰᲔ
ᲐᲚᲔᲜᲘ 1:0 ᲑᲣᲠᲒᲰᲐᲣᲖᲔᲜᲘ
ᲣᲜᲗᲔᲠᲰᲐᲮᲘᲜᲒᲘ 2:1 ᲙᲝᲗᲑᲣᲡᲘ
ᲔᲡᲔᲜᲘ 2:2 ᲙᲘᲝᲚᲜᲘ
ᲤᲘᲣᲠᲗᲘ 2:1 ᲐᲘᲜᲢᲠᲐᲰᲢᲘ
ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲐᲚᲘᲗᲒᲐ
XII ᲢᲣᲠᲘ
ᲰᲝᲤᲤᲔᲜᲰᲐᲘᲛᲘ 1:0 ᲛᲐᲘᲜᲪᲘ (Მ)
ᲖᲘᲒᲔᲜᲘ 1:1 ᲠᲔᲒᲔᲜᲡᲑᲣᲠᲒᲘ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ
I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. IX ᲢᲣᲠᲘ
ᲗᲘᲚᲑᲣᲠᲒᲘ 4:2 ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ
II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. X ᲢᲣᲠᲘ
ᲙᲐᲛᲑᲣᲠᲘ 1:3 ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔᲡᲘ
ᲘᲜᲓᲰᲝᲕᲔᲜᲘ 0:0 ᲗᲔᲚᲡᲢᲐᲠᲘ
ᲔᲛᲔᲜᲘ 3:2 ᲔᲫᲡᲔᲚᲡᲘᲝᲠᲘ
ᲛᲐᲐᲡᲢᲠᲘᲮᲢᲘ 3:0 ᲡᲘᲗᲐᲠᲓᲘ
ᲝᲡᲘ 2:0 ᲘᲒᲚᲡᲘ
ᲕᲝᲚᲔᲜᲓᲐᲛᲘ 0:2 ᲰᲔᲚᲛᲝᲜᲓᲘ
ᲕᲔᲜᲚᲝ 2:2 ᲕᲔᲜᲓᲐᲛᲘ
ᲖᲕᲝᲚᲔ 2:1 ᲐᲰᲔᲚᲓᲝᲠᲜᲘ

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ
ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ. VII ᲢᲣᲠᲘ
ᲑᲝᲐᲕᲘᲣᲗᲐ 0:0 ᲔᲣᲗᲝᲠᲘᲚᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ
ᲡᲔᲠᲘᲐ B. IX ᲢᲣᲠᲘ
ᲙᲐᲢᲐᲜᲐᲙᲐᲠᲝ 2:1 ᲛᲝᲓᲔᲜᲐ
ᲕᲘᲩᲔᲜᲪᲐ 2:1 ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲐ

ირაკლი მეძმარიაშვილიც გაატარეს
თავმჯდომარეს სამბო დაეხმარა



ირაკლი მეძმარიაშვილი

გადაწყდა — 17 დეკემბერს გასამართ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის არჩევნებზე ხუთი კანდიდატი იყრის კენჭს. როგორც უკვე გაცნობეთ, გაუგებრობა მოჰყვა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილის კანდიდატურის რეგისტრაციას. მეძმარიაშვილმა სეოკ-ში წარადგინა განცხადება, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ იგი კალათბურთის ფედერაციის მიერ იყო წარდგენილი, თუმც ეს განცხადება არასრულყოფილი გამოდგა.

და მაინც, ირაკლი მეძმარიაშვილი პრეზიდენტობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

მოგეხსენებათ, კანდიდატთა რეგისტრაციის ვადა 17 ოქტომბერს იწურებოდა, ხოლო მეძმარიაშვილმა 20 ოქტომბერს შეიტანა განცხადება. იგი სამბოს ფედერაციას წარუდგენია კანდიდატობაზე, რასაც ფედერაციის ხელმძღვანელობაც ადასტურებს. მართალია, ვადა 3 დღით გადაცდენილია, მაგრამ ბეჭედი 15 ოქტომბრის თარიღით ანუ 17 ოქტომბრამდე არის დასმული.

მიუხედავად შექმნილი გაუგებრობისა, სეოკ-მა ბატონი ირაკლი რეგისტრაციაში გაატარა. ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომი 25 ოქტომბერს შეიკრიბება და მეძმარიაშვილის წარდგენას ოფიციალურად დაადასტურებს.

ილია ნანოგაშვილი

სეოკ-ის განცხადება

2004 წლის 18 ოქტომბერს გამართულმა სეოკ-ის აღმასკომის სხდომამ მ.წ. 17 დეკემბერს ჩატარებულ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე პრეზიდენტად ასარჩევად რეგისტრაციაში გაატარა:

1. *ლევან აბზალდიანი* — საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი
2. *ბადრი პატარკაციშვილი* — სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოს ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტი
3. *ბეჟან ხურციძე* — საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი
4. *რამაზ გოგლიძე* — საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი
5. *ირაკლი მეძმარიაშვილი* — საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასმედიის ზოგიერთი საშუალებით ადრე გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე კომენტარს აკეთებს სეოკ-ის პრეზიდენტი ბ-ნი ჯანსუღ ბაგრატიონი:

— სეოკ-ის აღმასკომის სხდომამ, რომელიც 18 ოქტომბერს გაიმართა, რეგისტრაციაში ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით გაატარა სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატები. სხდომაზე აღინიშნა იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთ კანდიდატურაზე საბუთების წარმოდგენისას დაცული არ იყო სეოკ-ის წესდების ყველა მოთხოვნა და პროცედურა, თუმცა აღმასკომმა იმ სხდომაზე მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი კანდიდატურების სხდომაში გატარება.

საქართველოს XV ჩემპიონატი

პირველი წრე. „ბ" ქვეჯგუფი

თბილისი. ასკ-ს დარბაზი

საუ-მამული 42:21 ჭაბუკები

საუ-მამული: რობაქიძე, წივწივაძე (გაიტანა 14 გოლი), კობახიძე (6), სიხარულიძე (5), ჭელიძე (4), ხუციშვილი (4), ღალანიძე (3), შონია (3), გილაშვილი (2), მაისურაძე (1), ბერიკაშვილი, ხონელიძე

ჭაბუკები: კუპატაძე, პაპავა, მელქოშვილი (6), ზაქარიაშვილი (3), მსხვილიძე (3), ი. ტორონჯაძე (3), გ. ჩიქოვანი (2), ჯორბენაძე (1), ჯოხარიძე (1), ხომერიკი (1), ზაალიშვილი (1), ი. ჩიქოვანი, გ. ტორონჯაძე, კაიშაური

ქუთაისი 30:26 ბათუმი

ქუთაისი: ხინგავა, ნიქაბაძე, ბოყოჩაძე (10), მინაძე (6), ცერცვაძე (4), გობეჯიშვილი (3), დოლაკიძე (3), გაბედავა (2), კუჭუხიძე (1), მამაცაშვილი (1), გოგონაძე, მამასახლისი, აბულაძე, შარაშენიძე

ბათუმი: მელაძე, ურუშაძე (14), ზ. მეხრიშვილი (5), ვარშანიძე (5), ი. წიტაიშვილი (1), გიორგაძე (1), სიხარულიძე, ნ. მეხრიშვილი, კონცელიძე, კეკელიძე, გ. წიტაიშვილი, დავითაძე, კაცაძე

ქუთაისს მამული თუ გააჩერებს

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ ზურაბ ურუშაძემ (ბურთით) ალეკო ბოყოჩაძეს ოთხი გოლით აჯობა

ქუთაისელმა ხელბურთელებმა გუშინ მესამე თამაშიც მოიგეს და უდანაკარგოდ მიიწევენ წინ. ოღონდ ამჯერად იოლი გასეირნება არ გამოუვიდათ და ბათუმელების დასაძლევად დიდი ჯაფა დაადგათ.

თავიდან ზღვისპირელები დაწინაურდნენ და ორი-სამი ბურთით მიჰყავდათ ანგარიში — 4:2, 6:3, მაგრამ მერე მიზანი მოეშალათ, რვა წუთი ვეღარ მოახერხეს ჩინებულად მოთამაშე დავით ხინგავას კარში გოლის გატანა და ქუთათურებმაც ჯერ გაუთანაბრეს, მე-18 წუთზე კი ორი ბურთით თავად გავიდნენ წინ — 8:6. მალე ბათუმელთა ლიდერი, ტანმორჩილი ზურაბ ურუშაძე ადვილად დაუსხლტა მთელი თავით მაღალ მცველებს და თანაფარდობა აღადგინა — 8:8.

ქულა-ქულაში თამაში კარგა ხანს გაგრძელდა და ანგარიში რვაჯერ გაყაიმდა, უკანასკნელად საფინალო სასტვენამდე 14 წუთით ადრე — 20:20. ბოლოს უფრო გამოცდილმა ქუთაისელებმა იძალეს, დავით ცერცვაძემ სწრაფი გარღვევებით სამი უპასუხო გოლი შეაგდო და გამარჯვებულიც გაირკვა.

ქუთაისელთაგან ყველაზე შედეგიანი, რასაკვირველია, ალექსანდრე ბოყოჩაძე იყო და 35 გოლით კვლავ წინაა ბომბარდირთა დავაში. ურუშაძემ, ისევე, როგორც საუ-მამულელმა გიორგი წივწივაძემ, გუშინ 14-ჯერ გაიტანა, 27 დაუგროვდა და მეორე ადგილზეა. წივწივაძე მას ორი ბურთით ჩამორჩება. „მამულმა" მეორე თამაშიც 21-ბურთიანი სხვაობით მოიგო.

დღეს ტურის ცენტრალური მატჩია „ქუთაისი" — „საუ-მამული" და ლიდერთა დაპირისპირებას ცხადია, ემოციები არ მოაკლდება. მანამდე კი „სამტრედია" და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის ჭაბუკთა გუნდი შეხვდება ერთმანეთს. თამაშები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში 12 საათზე დაიწყება.

გია ახალაძე

სატურნირო ვითარება					
ქუთაისი	3	0	0	100:70	6
საუ-მამული	2	0	0	88:46	4
სამტრედია	0	1	1	53:68	1
ბათუმი	0	1	2	80:105	1
ჭაბუკები	0	0	2	41:73	0

calvià 36th CHESS OLYMPIAD 2004 MALLORCA 14-31 Octubre 2004

მალიორკაში საჭადრაკო ოლიმპიადამ ზუსტად ნახევარი, შვიდი ტური მოილია და ჩანს, ჩვენებურ ქალებსაც და კაცებსაც ადრეულადვე მოუწევთ საჩემპიონო ოცნებასთან გამოთხოვება. მათ, შესაბამისად, კუბელებთან და რუმინელებთან ფრე ითამაშეს და კიდევ უფრო ჩამორჩნენ ლიდერებს.

ვაჟები. VII ტური

საქართველო 2:2 კუბა

ზურაბ აზმაიფარაშვილი — დენიერ დომინგესი 0,5:0,5
ზვიად იზორია — ლაზარო ბრუსონი 0,5:0,5
ბაადურ ჯობავა — ნორის დელგადო 1:0
მერაბ გაგუნაშვილი — იუნესკო კესადა 0:1

ქალები. VII ტური

საქართველო 1,5:1,5 რუმინეთი

მაია ჩიბურდანიძე — კრისტინა ფოისორი 0,5:0,5
ნანა ძაგნიძე — კორინა იზაბელა პეპტანი 0:1
ლელა ჯავახიშვილი — გაბრიელა ოლაროსუ 1:0

F1 XVIII ეტაპი ბრაზილიის დიდი პრიზი

ინტერლაგუში

სან პაულუ, 24 ოქტომბერი



ტრასის სიგრძე ---------- 4.309 კმ
რბოლის დისტანცია ---------- 71 წრე — 305.909 კმ

რბოლა დაიწყება თბილისის დროით 21 საათზე

შარშან: 1 ფიზიკელა (ჯორდანი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 ალონსო (რენო) 4 კულჰარდი (მაკლარენი); 5 ფრენცენი (ზაუბერი); 6 ვილნევი (B.A.R.) 7 რ.შუმახერი (უილიამსი); 8 ტრული (რენო)

წრის რეკორდი: 2000 — მ.შუმახერი 1.14,755 (207,5 კმ/სთ)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ზვირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge